ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

შოთაძე ედნარ

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლი ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაში

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

(სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ბიზნესის მართვის დოქტორი,

მოწვეული პროფესორი რ. ცინარიძე

ხიჭაური -2019

ანოტაცია

ქვეყნებს შორის საფინანსო-საკრედიტო თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოებასთან ერთად ქვეყნის ოპტიმალური მონეტარული პოლიტიკის გატარების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა მსოფლიოს მსხვილი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ჩართვა განვითარებადი ქვეყნების ბიზნე-გარემოს სრულყოფაში. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი როლი განეკუთვნება ეროვნული ღირებულებების გათვალისწინებით გლობალიზაციის შედეგების სწორად შეფასებასა და ამ ინსტიტუტების პროგრამების მაქსიმალურად განხორციელაბას საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების განვითარებისათვის.

კვლევის მიზანია გაანალიზდეს ქვეყნის მასშტაბით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება, განისაზღვროს მათი პროექტების, ბიზნესგარემოს, ინფრასტრუქტურის ახალი შესაძლებლობებთან დაკავშირებული პრობლემები და დაისახოს სრულყოფის გზები, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე.

ნაშრომში განხილულია წამყვანი საფინანსო ინსტიტუტების პროგრამები საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში, მათი პრიორიტეტები და როლი ქართული ბიზნეს-გარემოს სრულყოფაში.

ნაშრომში ჩამოყალიბებული თეორიული დასკვნების და რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება ახლო პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყნის თვითმყოფადობისა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდა- სრულყოფას.

Annotation

The partnership between countries, in terms of finances made it essential for big and influential organizations to actively participate in the evolvement of the business environment of the developing countries. When it comes to the mentioned above, one of the biggest thing worth taking into consideration is national values in the era of the globalization, rightfully evaluating it.

The main goal of the research is analyzing the international financial organizations across the country and the way they operate., also the process of the internalization, defining its business environment, infrastructure, new opportunities, and the problems associated with the accepting new capabilities. Additionally, setting stable future goals to guarantee the future development of the country in terms of the economics.

Research is mainly presented by the financial programs of the leading organizations presented in Georgia and the neighboring countries, their priorities, role in the development of the Georgian business environment.

Theoretical conclusions and recommendations presented in the research, would definitely give the country big push, it conducted practically.

სარჩევი:

შესავალი ----------3

თავი I. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ორგანიზაციულ - ფუნქციური ასპექტები ----------9

1.1. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის წარმოშობა ----------9

1.2. საერთაშორისო საფინანსო ფონდის ფინანსური დახმარების ფორმები და დაფინანსების მექანიზმი ----------12

თვი II. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში ----------24

2.1. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის პრიორიტეტები კავკასიის რეგიონის ქვეყნებში ----------24

2.2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და აზიის განვითარების ბანკის საქმიანობა სომხეთში აზერბაიჯანსა და საქართველოში ----------32

თავი III. საერთაშორისო ბანკების და სხვა ინსტიტუტების როლი ქართულ ბიზნეს გარემოს სტიმულირებაში ----------47

3.1 ევროპის რეკონსტრუქციის განვითარების ბანკი და საქართველო----------47
3.2. აზიის განვითარების ბანკი და საქართველო ----------52
3.3. ს.ს. ინსტიტუტი და მრავალმხრივი კრედიტორებისადმი დავალიანება---56

დასვნები და რეკომენდაციები ----------69
გამოყენებული ლიტერატურა ----------72

შესავალი

თემის აქტუალობა. სავალუტო და საკრედიტო სისტემის ოპტიმალური, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სპეციალიზაციის შერჩევა ყველა ქვეყნისათვის აქტუალური იყო და ისევ აქტუალურია, თანაც არა მარტო მაღალგანვითარებული, ან განვითარებადი ქვეყნებისათვის, არამედ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვისაც და მათ შორის ჩვენი რეალობისთვისაც. ჩვენი ქვეყანა თავისი თვითმყოფადობის, გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით აქტიურად ცდილობს მსოფლიო სავალუტო-საკრედიტო სფეროში ჩართვას და რეალური ადგილის დამკვიდრებას. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველო აქტიურად ცდილობდა საკუთარი სავალუტო და საკრედიტო სისტემის ფორმირება-განვითარებას, რისთვისაც აუცილებელი გახდა მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტების ჩართვა და მათი რეკომენდციების გათვალისწინება. სწორედ ამიტომ ქვეყანამ დაიწყო საერთაშორისო გლობალურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ზოგიერთ მათგანში გაწევრიანება. მას 130-ზე მეტ ქვეყანასთან აქვს დამყარებული სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობა.

თანამედროვე პერიოდისათვის ღია ეკონომიკას ალტერნატივა არ გააჩნია. მართალია კარჩაკეტილობის ეპოქა, იზოლაციონიზმი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ გლობალურ სივრცეში ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა შეეცადოს ადგილობრივი (შიგა) ინტერესების გათვალისწინება. ღია ეკონომიკის ფორმირება მოითხოვს საქართველოს

ისეთი სავალუტო-საკრედიტო ინსტიტუციონალური სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მაქსიმალურად აამოქმედებს ჩვენი ქვეყნის სავალუტო-საკრედიტო პოტენციალს და იმავდროულად მიესადაგება თანამედროვე მსოფლიო მოთხოვნებს. თანაც უნდა მოხდეს სავალუტო და საკრედიტო შემოსავლების ფორმირება და სახელმწიფოს მხრიდან მათი მხარდაჭერა. ჩვენი ქვეყნის სავალუტო და საკრედიტო სისტემის გამართული ფუნქციონირებით ბევრი უცხოელი პარტნიორია დაინტერესებული. სწორედ, ასეთ ვითარებაშია საჭირო საგარეო სავალუტო და საკრედიტო კავშირების სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერება. დღევანდელ მსოფლიოში იზოლირებულად ცხოვრება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ყოველმხრივ მიუღებელია. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ მსოფლიოს ქვეყნები სულ უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული გახადა. საერთაშორისო სფეროში ეკონომიკური კავშირების გაფართოებას თან ახლავს ანალოგიური პროცესები საფინანო ურთიერთობის სფეროში. როგორც წესი, ფულად კაპიტალს გააჩნია მუდმივი თვით გაზრდის უნარი, რაც ეროვნული საზღვრებიდან მისი აუცილებელი გამოსვლის სტიმულს წარმოადგენს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მათი საქმიანობის პოლიტიკისა და შედეგების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისა და მათ შორის, საქართველოსთვის. იმისათვის, რომ ამაღლდეს და რეალურ შედეგებზე ორიენტირებული გახდეს საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაწეული სხვადასხვა ტიპის დახმარებები, საჭიროა სამთავრობო თუ არასამთავრობო დონეზე, ბიზნესის თუ სა-მოქალაქო საზოგადოების ასპექტით შეჯერდეს ერთი მხრივ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და მეორე მხრივ, კონკრეტული ქვეყნის პრიორიტეტები.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გაანალიზდეს ქვეყნის მასშტაბით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება, განისაზღვროს მათი პროექტების, ბიზნესგარემოს, ინფრასტრუქტურის ახალი შესაძლებლობებთან დაკავშირებული პრობლემები და დაისახოს სრულყოფის გზები, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს საქართველოს და მეზობელი სახელმწიფოების ეკო-

ნომიკის ზრდაზე. ასევე დაზუსტდეს რამდენად დიდია ამ ინსტიტუტების როლი (დადებითი თუ უარყოფითი) საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში და ფინანსურ უზრუნველყოფაში. განისაზღვროს იმ ძირითადი პრიორიტეტებისა თუ მიმართულებების ნუსხა, რომელიც ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით და რომელმაც სამომავლოდ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ყველა პოტენციალის სრულყოფა.

კვლევის ამოცანები. კვლევის ამოცანაა განისაზღვროს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიების ეფექტური გამოყენების გზები საქართველოში და შეფასებულ იქნეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ინიციატივების პროგნოზები. გავაანალიზოთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმატებები და ჩავარდნები, დეტალურად აღვწეროთ მათი საქმიანობა საქართველოში.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა საქართველოში დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ხოლო **კვლევის ობიექტი** - კონკრეტული ის პროექტები, რომლებიც ამ ინსტიტუტების საქმიანობის შედეგად განხორციელდა და ხორციელდება, ასევე ფინანსური დახმარების ფორმები, დაფინანსების მექანიზმი, რის საფუძველზეც ქვეყნის მონეტარული პოლიტიკა ფორმირედება და ბიზნეს-გარემოს ფინანსური უზრუნველყოფა მიიღწევა.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომედაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ საქმიანი წრეებისა თუ ბიზნეს-სტრუქტურების მიერ, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში ეფექტიანი ბიზნეს-გარემოს სრულყოფა და სწორი მონეტარული პოლიტიკის გატარება სურთ, რაც საბოლოოდ მთლიანი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობაა. სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევები. ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული ადგილობრივი და უცხოელი ავტორების სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომები, სამეცნიერო გამოკვლევები, მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის მონოგრაფიები, სტატიები. საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა დ

ადაერთაშორისო, სავალუტო ფონდის პროექტების, მათი ანგარიშების, მეთოდური მითითებები, ინტერნეტ-რესურსები, ასევე სახელმწიფო ორგანოების მასალები აღნიშნულ სფეროში.

კვლევის მეთოდები. მოცემული კვლევის განხორციელების შემდეგ შემუშავდა დასკვნები. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს კითხვარი და ანალიზი; მეთოდი გამოკითხვის, შერჩევა -საკუთრივ-შემთხვევითი. მონაცემების სიზუსტისათვის ასევე გამოყენებულ იქნა შეგროვებითი, შედარებითი მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს თაბახზე ნაბეჭდ 74 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგების განსჯისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომი შედგება 3 თავისა და 7 პარაგრაფისაგან. ნაშრომში ჩართულია 1 ცხრილი, 34 დიაგრამა. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართები.

თავი I. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ორგანიზაციულ - ფუნქციური ასპექტები

1.1 სართაშორისო საფინანსო ინსტიტუტის წარმოშობა

1930-იან წლებში უფრო გამწვავდა სავალუტო ბაზრებზე არსებული არასტაბილურობა, საერთაშორისო ვაჭრობამ მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა. ამ ბაზრების სტაბილურობა შესაბამისად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა რათა არ მომხდარიყო ხელახალი კრიზისის განმეორება, რომლის დაძლევაც შესაძლებელი იყო ქვეყნების ერთობლივი კორდინირებული მოქმედებით.

სწორედ ამ მიზნით ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე შეიკრიბნენ პოლიტიკოსები და ეკონომისტები. კონფერენციის თავმჯდომარე, აშშ წარმომადგენელი და აშშ ხაზინის მდივანი ჰენრი მორგენთაუ იყო. კონფერენციის იდეები და საკითხები სწორედ მან ჩამოაყალიბა. ასევე აღსანიშნავია სსსრ კავშირის, ინდოეთის, ჩინეთის და საფრანგეთის წარმომადგენელთა დასწრება კონფერენციაზე. ბრიტანეთის წარმომადგენელთა

ხელმძღვანელობდა ცნობილი ეკონომისტი კეინსი.კონფერენცია წინააღმდეგობრივი განხილვებით მიმდინარეობდა. აღსანიშნავია აშშ პოზიცია მისი ეკონომიკური პოლიტიკის საერთაშორისო კონტროლისათვის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით. ამ ყველაფრის ფონზე დიდი ბრიტანეთის და აშშ დელეგაციები ერთმანეთს ბრალს სდებდნენ ეღთმანეთს მათ მიერ შეთავაზებული გეგმების და წინადადებების მიკერძოებაში.

კონფერენცია ძალზე ბუნდოვან წარმოდგენებს ტოვებდა საზოგადოებაში. ცნობილი ამერიკელი კომენტატორი ვოლტერ ლიპმანი ამბობდა „საზოგადოებისათვის შეუძლებელია გააზრება რასთან დაკავშირებით იმართება ეს კონფერენცია. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული გადაწყვეტილებები თითოეული ადამიანის ცხოვრებას შეეხება, ძალიან ცოტაა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც იციან მონეტარული პოლიტიკის ენა“. კონფერენციის პროცესში გამართული მოლაპარაკებები მეტად რთულ ხასიათს ატარებდა. აშშ-ის წარმომადგენელმა, უაითმა წარმოადგინა შემოთავაზებული ორგანიზაციების ფორმირების გეგმა, თუმცა ბევრი დეტალი, მათ შორის ახალ ორგანიზაციებში შორის ფინანსური მონაწილეობის საკითხი, კვლავ რჩებოდა მსჯელობის საგნად. მონაწილე ქვეყნების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა მოსალოდნელ ძალთა ბალანსი, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო წევრი ქვეყნების შენატანების მოცულობაზე ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში ერთ-ერთ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, ორგანიზაციის ფულის განაწილება 44 ქვეყანას შორის. ინდოეთი ჩინეთზე არანაკლები ქვოტის უფლებას ითხოვდა. საფრანგეთს კი ინდოეთსა და ბენილუქსის ქვეყნებზე მეტი ქვოტა სურდა. სსრკ ითხოვდა, რომ მისი ქვოტა არ ყოფილიყო ბრიტანეთის ქვოტაზე ნაკლები, თან იმ ფონზე, რომ იგი უარს ამბობდა შესაბამისი შენატანების განხორციელებაზე, რადგან თვლიდა, რომ ომისგან დაზარალებულ მხარეს არ უნდა გადაეხადა სხვა სახელწმიფოების მსგავსად. ასევე, იგი უარს ამბობდა ზუსტი ეკონომიკური სტატისტიკის წარდგენაზე. კიდევ ერთ სადავო საკითხს ორგანიზაციის მართვა წარმოადგენდა. სად უნდა განთავსებულიყო ორგანიზაცია და რამდენი მუდმივი ადგილი ექნებოდა ორგანიზაციის მართვაში ძირითადი შენატანების მფლობელ ქვეყნებს.

147 ბრიტანელები წარუმატებლად ლობირებდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ლონდონში განთავსების იდეას. დავის კიდევ ერთ საკითხს წარმოადგენდა ოქროს სტანდარტის პარალელურად დოლარის სტანდარტის შემოღება, რაც ნიშნავდა, რომ საერთაშორისო ანგარიშსწორებაში აშშ-ის დოლარი ფუნქციურად გაუთანაბრდებოდა ოქროს და იქნებოდა სრულფასოვანი სარეზერვო ვალუტა. მსოფლიო ბანკის ფორმირების გეგმასთან დაკავშირებით კეინსის იდეები უფრო წარმატებული აღმოჩდა, კერძოდ ეკონომიკური რეცესიის დროს სახელმწიფო ხარჯების ზრდის მოსაზრებამ ასახვა ჰპოვა მსოფლიო ბანკის სტრატეგიაში.1944 წლის 22 ივლისს ხელი მოეწერა კონფერენციის საბოლო აქტს.

მსოფლიო ბანკის მისიაში დეკლარირებულია ბანკის მიზნები, სესხების, გარანტიებისა და სარეკომენდაციო ხასიათის რჩევების მიწოდებით შეამციროს სიღარიბე საშუალო შემოსავლიან და ღარიბ ქვეყნებში. მსოფლიო ბანკი აფინანსებს ინფრასტრუქტურის მშენებლობას, სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციო სამუშაოებს, ჰუმანიტარულ დახმარებებს, სიღარიბის შემცირებას, გენდერულ თანასწორობას, განათლებას და გრძელვადიანი განვითარების პროგრამებს. ბანკი ასევე ხელს უწყობს სოციალურ რეფორმებს რათა წაახალისოს ეკონომიკური განვითარება. აშენებს სკოლებსა და სამედიცინო დაწესებულებებს, სასმელი წყლის სისტემებსა და ელექტროენერგიის წარმოებას. 2000 წლის შემდეგ მსოფლიო ბანკი მოწოდებული მილენიუმის განვითარების მიზნების შესასრულებლად, რომელიც, თავის მხრივ, შეიმუშავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და აქვს შემდეგი სახე: 1. შიმშილისა და უკიდურესი სიღარიბის დაძლევა; 157 2. უნივერსალური საბაზისო განათლების უზრუნველყოფა; 3. გენდერული თანასწორობის მიღწევა; 4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; 5. ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება; 6. შიდსის, მალარიისა და სხვა მსგავსი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა; 7. გარემოს დაცვა; 8. გლობალური თანამშრომლობის განვითარება. მსოფლიო ბანკის სესხებს ორი ძირითადი მიმართულება გააჩნია: 1) საინვესტიციო სესხები პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელ პროექტებში, რომელიც სახელმწიფო სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის

განსაკუთრებით მნიშნელოვანია. 2) რეფორმებისა და სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერისათვის განკუთვნილი სასესხო ინსტრუმენტები. მსოფლიო ბანკის სესხების ძირითად წყაროს კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი წარმოადგენს. ბანკი აქტიურად ყიდის საკუთარ ობლიგაციებს, რომლის ძირთადი მომხმარებლებიც საპენსიო ფონდები და ინსტიტუციური ინვესტორები არიან. მსოფლიო ბანკის მთლიანი ფონდების ნახევარს წევრი ქვეყნების გრანტები შეადგენს, ხოლო მეორე ნახევარს - თავად ბანკის ოპერაციების შედეგად მოზიდული ფონდები და მიღებული მოგება. აღსანიშნავია, რომ ბანკის მიერ მიღებული მოგება ისევ ბანკის მიზნებისა და ბენეფიციარი ქვეყნების დასაფინანსებლად მიემართება. იგი არ წარმოადგენს კლასიკური ტიპის მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციას, რომელიც მიღებულ მოგებას აქციონერებზე ანაწილებს.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია IDA განვითარების საერთაშორისო ასოციაცია მსოფლიო ბანკმა დააფუძნა 1960 წელს და მისი მიზანი იყო დამატებითი დახმარება გაეწია განვითარებადი ქვეყნების უღარიბესი ნაწილისთვის. მსოფლიო ბანკის საკრედიტო ინსტრუმენტებზე უფრო ლიბერალური პირობების შეთავაზების მიზნით ასოციაციამ შექმნა სპეციალური საკრედიტო ინსტრუმენტები. კერძოდ, საუბარია ნულოვანი საპროცენტო განაკვეთის სესხებზე, რომელიც 35-40 წლის ვადით გაიცემა და საშეღავათო პერიოდი შეადგენს 10 წელს. ამჟამად ასოციაციის წევრები შორის არიან გაერთიანებული ერების 169 წევრი ქვეყანა და კოსოვო. ბენეფიციარი ქვეყნების დახმარების მიზნით ასოციაციამ შეიმუშავა ოპერირების ჩარჩო, რომელიც ექვს ძირითად პრინციპს ემყარება: 1. ასოციაცია ცდილობს მაკროეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით აგრო და კერძო სექტორების განვითარებას; 2. ასოციაცია ფოკუსირებულია გენდერული თანასწორობისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე; 3. საჯარო მმართველობის დახვეწის მინით ორგანიზაცია ეხმარება წევრ ქვეყნებს მმართველობის გაუმჯობესებასა და კორუფციასთან ბრძოლაში 4. ორგანიზაცია ხელს უწყობს და ახალისებს პროექტების განვითარებას, რომლებიც არ აზიანებენ გარემოს; 5. ასოციაცია ხელს უწყობს აღდგენით პროცესს პოსტ-

კონფლიქტურ სახელწმიფოებში; 6. ასოციაცია ხელს უწყობს რეგიონული ვაჭრობის განვითარებას, რათა გააღრმავოს ეკონომიკურ ინტეგრაცია.

1.2 სართაშორისო საფინანსო ფონდის ფინანსური დახმარების ფორმები და დაფინანსების მექანიზმი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მის წევრ ქვეყნებს უწევს დახმარებას დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმის ღონისძიებათა ფორმით, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან საგადასახადო ბალანსით და რომელთა სალიკვიდაციოთაა ისინი მიმართული.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საერთო რესურსებისა და სპეციალური ანგარიშებიდან ფინანსურ დახმარებას გასცემს წევრი ქვეყნების საგადასახადო ბალანსის სფეროში საერთო ამოცანების გადასაწყვეტად; ასევე მუდმივი დაფინანსების მექანიზმების ფარგლებში კონკრეტული მიზნებისათვის (გაუთვალისწინებელი შემთხვევები) და დროებითი მექანიზმი (დამატებითი დაფინანსების მექანიზმი რომელიც შეიქმნა 1979 წელს).

სსფ თავის წევრ ქვეყნებს ეხმარება ე.წ ტრანშის პოლიტიკის საფუძველზე ხოლო სხვა სახის დახმარებებს მიმართავს, როცა წევრი ქვეყნების ფინანსური მდგომარეობა მოითხოვს სასწრაფო გადაუდებელ დახმარებას.

სსფ მის წევრ ქვეყნებზე დახმარების მუდმივი მექანიზმის წყაროა ფონდის ჩვეულებრივი სახსრები, ხოლო დროებით დახმარების წყაროს წარმოადგენს ნასესხები ფულადი საშუალებები.

როდესაც სსფ-ის წევრი ქვეყანა იყენებს ფონდისსახსრებს იგი ყიდულობს საკუთარი ვალუტით სხვა წევრი ქვეყნის ვალუტას ან ნასესხობის უფლებას რომელიც

სსფ საერთო ანგარიშზე ირიცხება. შესაბამისად სსფ-ის ფონდიდან მიღებული დახმარებით იზრდება წევრი ქვეყნის ვალუტის რეზერვის ფონდი ხოლო ხოლო

შესაბამისად მცირდება აქტივები სხვა კონვენტირებად ვალუტებსა და ნასესხობის სპეციალურ უფლებებში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი წევრ ქვეყნებზე გასცემს სესხებს სხვადასხვა წესების ან მექანიზმის ჩარჩოებში.ფონდის დაფინანსების უდიდესი ნაწილი გაიცემა დაკრედიტების პოლიტიკის სხვადასხვა ტიპის მეშვეობით.ესენია:

1. "სტენდ-ბაის" კრედიტის შესახებ შეთანხმება- სსფ-ის მხარდაჭერა სტენდ ბაიზე წარმოადგენს სსფ-ს დაკრედიტების პოლიტიკის საფუძველს ამ სახის კრედიტზე წევრ სახელმწიფოს გარანტირ ბულს ხდის რომ იგი მიიღებს ამ სახის სესხს 12-18თვის ვადით საგადასახდელო ბალანსის მოკლევადიანი პრობლემის მოსაგვარებლად.

2.საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაფართოებული დაკრედიტების მექანიზმი ეს მექანიზმი გათვლილია იმ წევრი ქვეყნებისთვის რომლებიც განიცდიან სიძნელეებს საგადასახადო ბალანსის დაფინანსებაში. ფონდმა აღნიშნული მექანიზმით 1970 წელს დაიწყო ღარიბი ქვეყნების დაფინანსება.

მსგავსი დაფინანსების მიღებისათვის აუცილებელია ქვეყანამ შეიმიშაოს სტრუქტურული პოლიტიკა, განსაკუთრებით საგადასახადო სისტემისა და საფინანსო სექტორის რეფორმების მიმართულებით, რომელიც გამიზნული იქნება ეკონომიკის ფუნქციონირების გაუმჯობესების და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის უზრუნველყოფის უზრუნველსაყოფად.

3. სიღარიბის შემცირების და ეკონომიკის ზრდისადმი მხარდაჭერის მიზნით გაცემული დაფინანსების მექანიზმი

4. დამატებითი რეზერვების დაფინანსების მექანიზმი - ეს მექანიზმი გათვალისწინებულია იმ ქვეყნებისსთვის, რომლებიც საგანგაშო სიძნელეებს განიცდიან საგადასახადო ბალანსის მოწესრიგებაში. ეს სესხი მოკლევადიანია და ხელს უწყობს ბაზარზე უნდობლობისა და დეატაბილიზაციის აღმოფხვრაში.

5. საგანგებო დახმარების მექანიზმი - ეს მექანიზმი განკუთვნილია სტიქიური უბედურებებით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად.

წევრი ქვეყნები რომლებიც სარგებლობენ ფონდის კრედიტით იხდიან ბაზარზე არსებული განაკვეთების შესაბამისად.

ის ქვეყნები რომლებიც იყენებენ სიღარიბესსთან დაკავშირებულ სესხებს, ისინი იხდიან ფიქსირებულ შეღავათიან პროცენტს 0.5% ოდენობითსსფ მის საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად წევრ ქვეყნებს აძლევს სესხებს 4 ტრანშის სახით, რომლის საპროცენტო კვოტაც 25%-ია. საკრედიტო ტრანშების შესყიდვა ფონდის წევრი ქვეყნის მიერ ხორციელდება ეკონომიკური ღონისძიებათა დასაფინანსებლად , საგადასახადო ბალანსის სიძნელეების გადასაწყვეტად.

სსფ-ის წევრ ქვეყანას შეუძლია ფონდის საკრედიტო ტრანშის დაუყოვნებლივ შეისყიდოს კონვერტირებული ვალუტა ან ნასესხობის სპეციალური უფლებები, მაგრამ ჩვეულებრივ მათი შესყიდვა ხორციელდება სარეზერვო ან გაფართოებული კრედიტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომლებიც საკრედიტო სახეს ატარებს.

საყურადღებო, რომ პირველი და სხვა საკრედიტო ტრანშების მეშვეობით დაფინანსებული ღონისძიებები გამოირჩევიან პრობლემათა სირთულით ე.ი ისინი მიმართულია სერიოზილი პრობლემების გადასაწყვეტად.

სსფ 1989 წლიდან განსაკუთრებულ როს თამაშობს დავალიანებათა შესამცირებელი ღონისძიებების განხორციელებაშიდახმარება განპირობებულია იმით რომ ქვეყანას გააჩნია საშუალოვადიანი პროგრამა, რომელშიც დომინირებს სტრუქტურული რეფორმები, რომელიც მიღებულია საკრედიტო შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებით ე.წ სტენდ ბაი.

სსფ-ში 1986 წლის მარტში შემოღებული იქნა კრედიტისგაცემის ახალი მექანიზმი იმ განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთაც დაბალი შემოსავლის წყაროები გააჩნიათ. ამ შეღავათით სარგენლობის უფლება მოპოვებული აქვს 62 ქვეყანას , რომელთაც გააჩნიათ საგადასახადო ბალანსში სიძნელეები ხანგძლივი პერიოდისათვის.ასეთ ქვეყნებ შეუძლიათ მიიღონ სესხები 3 წლის განმავლობაში მათი კვოტის 50% ოდენობით. პირველ და მესამე წელს 15% ხოლო მეორე წელს 20%.

სსფ-ის ოფიციალური ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ ცენტრალურ ორგანოებთან -ცენტრალურ ბანკთან, ხაზინასთან ვალუტის სტაბილიზაციის ფონდთან.

სსფ-ის ფინანსურ რესურსებთან წევრი ქვეყნების დაშვების რეგულირების წესი ყველასათვის ერთნაირია. წევრი ქვეყანა რომელსაც ესაჭიროება უცხოური ვალუტა მიმდინარეოპერაციების გადასახდელად მოვალეა სსფ წარუდგინოს მოთხოვნა ფინანსურ სახსრებზე და საგადასახადო ბალანსის დამადასტურებელი მასალები. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ქვეყანა ღებულობს, ან ყიდულობს მისთვის საჭირო ვალუთას SDR-ს ეროვნული ვალუტით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავისი განმარტებით არის 184 ქვეყნის ორგანიზაცია, რომლის მიზანია გააღმავოს გლობალური მონეტარული თანამშრომლობა, შეინარჩუნოს ფინანსური სტაბილურობა, ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას და დასაქმების დონის ამაღლებას, უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების მზარდი ტემპი და შეამციროს სიღარიბის დონე.

მსოფლიო ბანკის მთავარი მიზანი ყოველთვის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მხარდაჭერა იყო. ბანკის წესდების თანახმად მან აიღო ვალდებულება შეემოწმებინა სიღარიბე და ხელი შეეწყო მდგრადი განვითარებისათვის. ბანკს აქვს სამი მთავარი ფუნქცია: პირველი-პროექტებისა და პროგრამების კრედიტებით უზრუნველყოფა, მეორე-რჩევების მიცემა და მონაცემთა შეგროვება, მესამე-განვითარებად ქვეყნებში კატალიზატორის როლის შესრულება, კერძო ინვესტიციების სტიმულირებისათვის. იმისათვის რომ, ქვეყანა გახდეს ბანკის წევრი უპირველეს ყოვლისა ის უნდა იყოს სავალუტო ფონდის წევრი.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირება გახდა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანა. მის განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოებამ და განმტკიცებამ, საერთაშორისო ეკონომიკურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან - საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროგაერთიანება და სხვა

ინსტიტუტებთან მჭიდრო საქმიანმა თანამშრომლობამ, რადგან ფაქტია, საქართველო ვერ შეძლებს საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის დსთ-ს წევრ ქვეყნებთან მრავალმხრივი და ორმხრივი სარგებლის მომტანი ურთიერთობების გარეშე ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევას და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლას(ჭითანავა ნ., ვეფხვაძე ვ., კაკულია რ., მოურავიძე დ., ყუფუნია გ., ხელიძე ლ., 2000: 130).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში პირველად 1991 წლის ნოემბერში ჩამოვიდა. ამ პირველ შეხვედრას ურთიერთგაცნობის დატვირთვა ჰქონდა. ყოველ მომდევნო ჩამოსვლაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ხელისუფლებას მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის მიზნით თავის რეკომენდაციებს უტოვებდა. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება (ცალკეული გამონაკლისის გარდა), სამწუხაროდ ამ რეკომენდაციებს და მათ ავტორებს სერიოზულად არ ეკიდებოდა (გოცირიძე რ., 1999: 259), რის შედეგადაც ქვეყანაში საერთოდ მოიშალა საფინანსო სისტემა:

- 1993-1994 წლებში საქართველოს არ ჰქონია პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი;
- კონსტიტუციური და საერთოდ საკანონმდებლო ვაკუუმის, უკვე მიღებული კანონების არასრულყოფილების და რაც მთავარია, სხვადასხვა ორგანიზაციისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათების გამო, შეუძლებელი იყო საგადასახადო შემოსავლების თუნდაც მინიმალურ დონეზე მობილიზება;
- დროებითი ვალუტის - ქართული კუპონისადმი ჩამოყალიბდა სახელისუფლებო ნიჰილიზმი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულის საკრედიტო, თუ საბიუჯეტო ემისიამ (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების მიზნით **(გოცირიძე რ., 1999: 260)** 1993-1994 წლებში ჰიპერინფლაცია გამოიწვია და ინფლაციამ საშუალოდ თვეში 50-70% შეადგინა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ იმ დროს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ხსენებულ შედეგებს ამძიმებდა ომისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელი

ქვეყნის საომარ მოქმედებებშიმონაწილეობდა ჯერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში.

1994 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ე.წ. "ანტიკრიზისული პროგრამა" ედება საფუძვლად საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის ურთიერთობების პრინციპულად ახალ დონეზე წარმართვას; კერძოდ; უკანასკნელის რეკომენდაციები სასურველობის კატეგორიიდან აუცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა რანგში გადადის, რასაც თავისი დადებითი ეკონომიკური შედეგები მოაქვს.(ბასილია თ., ბაქრაძე პ., ბეგიაშვილი გ., და სხვა, 1998).

აქედან გამომდინარე „ვარდების რევოლუციამდე" საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოღვაწეობა საქართველოში შეიძლება ორ ეტაპად განვიხილოთ (**პაპავა ვ., 2000; Papava V., 2003a, 2003b; Папава В., 2001, 2002):**

- პირველ ეტაპზე, 1991-1994 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევს, თუმცა ეს უკანასკნელი „ურჩი ბავშვივით" მათ არად აგდებს;
- მეორე ეტაპზე, 1994 წლიდან დღემდე, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებისათვის აუცილებლად შესასრულებელი ხდება იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ხშირად ცხოვრებაში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისათვის არც ადვილი გასატარებელია და არც ყოველთვისაა მოსაწონი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ყველაზე წარმატებული შედეგი ის არის, რომ საქართველოში საფინანსო სისტემა შეიქმნა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა დამყარდა. უფრო კონკრეტულად კი აუცილებელია აღინიშნოს (**პაპავა ვ., 1995ბ; Папава В., Беридзе Т., 1994, 1998):**

1. ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პროცესებს არეგულირებს;
2. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გზით ჰიპერინფლაციის მოთოკვა, რამაც ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა შექმნა (მიმოქცევიდან გამოიდევნა რუსული რუბლი და სტაბილურ ლარს მიენიჭა ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალების ფუნქცია);

3. პურზე ფასების განთავისუფლებით ფასების ლიბერალიზაციის პროცესის პრაქტიკულად დასრულება;

4. 1995 წლიდან მოყოლებული პრინციპში, წლის დასაწყისიდან პარლამენტის მიერ დამტკიცებული ქვეყნის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობა;

5. ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება, რომლითაც ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ფუნქციები გამიჯნულია; ამასთან კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკის მხრიდან მარეგულირებელი ნორმატიული პარამეტრები აქვს დამტკიცებული, რომელთა საშუალებითაც საბანკო სისტემაზე სახელმწიფოს კონტროლი ხორციელდება;

6. ყოფილი სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია;

7. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;

8. უცხოური ვალების რესტრუქტურიზაციის მიღწევა და ამ გზით საქართველოსათვის საგარეო ვალების მომსახურებისა და ზოგადად გადახდისუნარიანი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შენარჩუნება.

აუცილებელია ხაზი გაესვას საბიუჯეტო ხარჯებში ჯანდაცვისა და განათლების პრიორიტეტულობის უზრუნველყოფისათვის მსოფლიო ბანკის მხარდაჭერას და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან აქტიური პოზიციის დაკავებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის მიერ ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პროცესში მსოფლიო ბანკის პროგრამების მხარდაჭერა სისტემატურად ხორციელდება.

აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ საქართველოს სამთავრობო გუნდს, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებების წარმართვა საწყის ეტაპზე უხდებოდა, პრაქტიკულად ამის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა, სიღრმისეულად ვერც ფონდის პროცედურებში ერკვეოდა, რითაც ნებსით (სავარაუდოდ თავისი საქმის გასამარტივებლად), თუ უნებლიედ (რაც კიდევ უფრო მეტადაა სავარაუდო) საკმაოდ ოსტატურად სარგებლობდნენ (ყოველ შემთხვევაში დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს) ფონდიდან გამოგზავნილი მისიის წევრები: სამთავრობო მხარე ყოველი მორიგი საფინანსო ტრანშის მიღების პირობად, ცალკეულ შემთხვევაში, თავის თავზე ისეთ ვალდებულებებს იტვირთავდა, რომელთა შესრულება დადგენილ ვადაში (როგორც წესი, დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში) ძალზედ რთული იყო; ამგვარ

ვალდებულებათა აღების პასუხისმგებლობა ყოველთვის როდი იყო ბოლომდე გაცნობიერებული, ანუ რა დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდებოდა მთავრობა მათი შესრულებისას. რეფორმატორები ამა თუ იმ რთულად გადასაწყვეტ პრობლემებზე არაპოპულარული მეთოდების გამოყენებას, როგორც წესი, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა, თუ სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს გადააბრალებდნენ (იმავეს დღესაც აკეთებენ), რითაც ამ ორგანიზაციებისადმი საზოგადოებრიობისა და განსაკუთრებით მეწარმეთა უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობდნენ ხელს (**მესხია ი., 1999: 12).**

ამასთან აუცილებელია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყველა მოთხოვნა დაფიქსირებულია, როგორც მთავრობის განცხადება (და არა როგორც ფონდის მოთხოვნა), რის გამოც ნებისმიერ სადისკუსიო სიტუაციაში ფონდის ექსპერტები, როგორც წესი, მთავრობას შეახსენებენ, რომ ეს მათ მიერ აღებული ვალდებულებაა, ანუ მათი პოზიციაა და არა ფონდის. გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეულ შეთანხმებათა ცხოვრებაში გატარების პასუხისმგებლობა თავის თავზე მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკების წარმმართველ სამთავრობო გუნდს (და ისიც არა ყოველთვის ყველა მის წევრს) ქონდა აღებული, მაშინ, როცა მთავრობის (და პარლამენტის) ზოგიერთ სხვა წევრს, სამწუხაროდ, არც კი ესმოდა (და ალბათ არც უნდოდა, რომ გაეგო), თუ რაც ნიშნავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით ვალდებულებათა შესრულება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდში საეჭვო რეპუტაციის ზოგიერთი ქართველი თანამდებობის პირი, მისივე მოთხოვნით, მოლაპარაკების პროცესში ერთვებოდა და მათ მიერ შემოთავაზებული თუნდაც მართლა რეფორმატორული და გამართლებული საკითხის (რაც საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, რადგანაც უმთავრესად ასეთი შეხვედრებისას, როგორც წესი, აშკარად მცდარი და ყოვლად მიუღებელი წინადადებები წამოიჭრებოდა, რაც საქართველოს სახელით მოლაპარაკებაში მონაწილე პირს და ირიბად იმ სტრუქტურას, სადაც ეს პირი უშუალოდ მუშაობდა, სახელს უტეხავდა) გატანის შესაძლებლობას (ამ პირის შელახული

ავტორიტეტის გამო) საბოლოოდ ბლოკავდა, რის გამოც, ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამებისადმი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისას ზეგავლენა არასასურველი იყო; ცალკეული პოლიტიკოსის, თანამდებობის პირის, თუ საზოგადოების რიგითი წევრის შთაბეჭდილება მცდარია, თუკი ფიქრობს, თითქოს საქართველოს მხრიდან ფონდთან ოფიციალურ მოლაპარაკებაში მონაწილე სამთავრობო გუნდის წევრებს კომპეტენტურობა და პრინციპულობა არ ყოფნიდათ, დისკუსიაში არგუმენტების მოძიების უნარი აკლდათ, და თუ კი მოლაპარაკების მაგიდას თვითონ მიუსხდებოდნენ, უთუოდ წარმატებასაც მიარწევდნენ. ასეთ პირობებში, რომ არა ქვეყნის პრეზიდენტის და პარლამენტის ხელმძღვანელობის მტკიცე რეფორმატორული პოზიცია, საქართველო იმ ზემოთმოყვანილ წარმატებებს ვერ მიაღწევდა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

პოლიტიკური შეცდომები: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნების ისტორიას, კულტურულ და ეროვნულ თავისებურებებს არ ითვალისწინებს. მისი საქმიანობის დასაწყისშივე საქართველოში სწორედ ამგვარმა შეცდომამ იჩინა თავი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი რჩევა „რუბლის ზონაში“ დარჩენისა და ეროვნული ვალუტის არ შემოღების შესახებ. ასეთი რჩევა მან საქართველოს მთავრობას 1992 წლის თებერვალში მისცა. ძნელია იმის გარკვევა, რა მოტივით ხელმძღვანელობდა ფონდი (უკეთეს შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ჯერ კიდევ ძლიერ იმპერიალისტური განწყობის მქონე ძალებს სიფრთხილით მოეკიდა, რის გამოც ნგრევადი იმპერიია სავალუტო სივრცის რევოლუციურ რღვევას არ ჩქარობდა), როცა ასეთ რეკომენდაციას იძლეოდა, მაგრამ თუკი გავიხსენებთ, რომ ფონდის ეს რჩევა ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე ვრცელდებოდა, ბალტიის ქვეყნების (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) გარდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფონდისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ვალუტის ერთ ემიტენტთან ემუშავა და არა თორმეტთან; შესაბამისად, საკმარისი იქნებოდა ერთი მისიის და არა თორმეტის შექმნა, რის გამოც ხარჯები დაიზოგებოდა; აქ ძალზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხოლოდ იმ ქვეყნებთან მუშაობს, რომლებსაც საკუთარი ვალუტა აქვთ.

მეთოდური ხასიათის შეცდომები: საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე არაერთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბება მოუხდა. ერთ-ერთი ასეთი საგადასახადო სისტემა იყო: საჭირო იყო საგადასახადო კანონმდებლობისა და საგადასახადო სამსახურის შექმნა, მისი დაკომპლექტება სათანადო მომზადების მქონე, პრაქტიკულად ძალზედ დეფიციტური კადრებით. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საქართველოს მოსახლეობას და საწარმოებს საბაზრო სისტემის პირობებში გადასახადების გადახდის და მასზე პასუხისმგებლობის არავითარი კულტურა არ გააჩნდათ.

ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე, საგადასახადო სისტემა მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს. საზოგადოდ ეს აზრი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდანაც გაზიარებულია; კერძოდ, მისი ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი ლეიფ მუტენი აღნიშნავს, რომ გარდამავალი პერიოდის პროცესში გადასახადი მარტივი უნდა იყოს.

საგადასახადო სისტემის შესაძლო გართულება ეტაპობრივად, საგადასახადო განათლების გავრცელების, საგადასახადო კულტურის ამაღლების კვალობაზე უნდა მოხდეს.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, „დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო სისტემის შექმნისთანავე, ყოვლად გაუმართლებელი იყო ბრუნვიდან გადასახადის დამატებული ღირებულების გადასახადით ჩანაცვლება“ (**პაპავა ვ., 2015: 81**).

ფონდის შეცდომა ის გახლავთ, რომ საქართველოს ხელისუფლებისაგან განსხვავებით, შესანიშნავად იცოდა, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოყენება და აქედან გამომდინარე, მათი რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო ვაჭრობაზე გადასახადის დროებით შემოღება და პარალელურად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დამატებული ღირებულების გადასახადის მექანიზმზე გადასასვლელად, რაც არ განხორციელდა.

რასაბიუჯეტო ანგარიშები: ვარდების რევოლუციის შემდეგ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ძალოვანი უწყებების არასაბიუჯეტო ანგარიშების შექმნის მიმართულებით გადაიდგა, სადაც ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც კორუფციაში იყვნენ დადანაშაულებულნი, დაპატიმრების შემდეგ გასათავისუფლებლად ე.წ. „თავისუფლების საფასურს“ იხდიდნენ. ამას ამართლებდნენ არა მარტო იმით, რომ კორუფციაში დადანაშაულებული პირები სახელმწიფოს უბრუნებდნენ მოპარულ ფულსა და საკუთრებას, არამედ იმითაც, რომ სახელმწიფოს ექმნებოდა შემოსავლების მიღების დამატებითი წყაროც. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, „თავისუფლების საფასურის“ მხოლოდ ერთი ნაწილი ხვდებოდა ამ ფონდებში, მეორე კი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში იყრიდა თავს. ამან მთავრობას მისცა დამატებითი საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო შემოსავლები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ არასაბიუჯეტო ანგარიშებიდან ხარჯვა, უშუალოდ მთავრობის პრეროგატივა იყო და საზოგადოების მხრიდან კონტროლს არ ექვემდებარებოდა: არასაბიუჯეტო ანგარიშებზე ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი არც პარლამენტისათვის, არც კონტროლის პალატისათვის და არც მედიისთვის. სწორედ ამიტომ ის, თუ რამდენი იქნა ამ გზით თავმოყრილი სახელმწიფო ბიუჯეტში, ხელმისაწვდომი ინფორმაციაა, ხოლო ის, თუ რა თანხები იქნა მოზიდული არასაბიუჯეტო ანგარიშებზე, ექსპერტულ შეფასებასაც კი ძნელად ექვემდებარებოლდა.

აშკარაა რომ ეს პრაქტიკა შემოსავლების მიღებიოს სტაბილური წყარო ვერ იქნებოდა.

თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის კულუარებში ამგვარ მიდგომას ასე ხსნიდნენ: „თუ არასაბიუჯეტო ანგარიშების პრაქტიკა ხელს შეუწყობს ქვეყანაში კორუფციის შემცირებას, დაე იყოს ეს ანგარიშებიო“. თანაც ეს ანგარიშები მექრთამეობასთან შედარებით ნაკლებ ბოროტებადაც აღიქმებოდა.

რადგანაც არასაბიუჯეტო ანგარიშების გაუმჭვირვალობა თავადაა კორუფციის წყარო, ამიტომ ამ საკითხში საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა სწორედ ისაა, რომ კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად კორუფციული ინსტიტუტის

არსებობას დაუჭირა მხარი. ხოლო მსოფლიო ბანკს, რომელიც ინტენსიურადაა ჩართული მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანტიკორუფციულ ღონისძიებათა შემუშავებასა და გატარებაში, პოსტრევოლუციურ საქართველოში არასაბიუჯეტო ანგარიშების თემაზე ხმა საერთოდ არც კი ამოუღია.

მიუხედავად პერიოდულად დაშვებული შეცდომებისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი რჩება თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე უფრო ავტორიტეტულ საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტად და მას ალტერნატივა არ გააჩნია. შესაბამისად საერთაშორისო საფინანსო წესრიგში საქართველომ ამ წესრიგით განსაზღვრული პირობები უნდა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიიღებს საერთაშორისო მხარდაჭერას, რაც რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აგრერიგად ესაჭიროება. დასავლეთის პოლიტიკური და საფინანსო მხარდაჭერის გარეშე, დროებითდაკარგული ტერიტორიებისა და ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე საქართველოსათვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

ზემოთ მოყვანილი ცალკეული შეცდომების მიუხედავად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში ჯანსაღი საფინანსო-ეკონომიკური სისტემის შექმნის რეალური ხელშემწობი და საიმედო საფინანსო გარანტი იყო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და იგი მაშინაც კი ასეთად უნდა დარჩეს, როცა საქართველოს აღარ დაჭირდება ფონდისაგან ფულის სესხება, რადგანაც ჩვენს ქვეყანას სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყოს არ გააჩნია.

თავი II. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის საქმიანობა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

2.1 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის პრიორიტეტები კავკასიის რეგიონის ქვეყნებში

რეგიონის ქვეყნებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ პროექტებზე საუბრისას მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნას იმ პროექტების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მსოფლიო ბანკის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ფარგლებში (IDA) იქნა განხორციელებული.

იმისათვის რომ რომ ფინანსური ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროექტების ფინანსური და რაოდენობრივი ანალიზი გავაკეთოთ საჭიროა რამოდენიმე წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე დაკვირვება. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა 2014-18 წლები.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის რეგიონის მიმართ მსოფლიო ბანკის პოლიტიკა საკმაოდ დინამიურია განსაკუთრებით იმ სფეროებში რომლებიც პოტენციურად საინტერესოა მსოფლიო ბანკის საქმიანობისათვის. აღნიშნული სფეროებიდან უპირატესი ინფრასტრუქტურა, განათლება და კერძო ბიზნეს სექტორი. რომელიც კარგ მდგომარეობაში ნამდვილად არ არის და რეგიონის ყველა ქვეყნისთვის მნიშნელოვანია, როგორც სოციალური, ისე ბიზნესის განვითარების მიმართულებით.

უფრო დეტალურად განვიხილოთ მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებლები. ჯერ ცალკეული ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) დონეზე და შემდგომ გავაკეთოთ მისი შედარებითი ანალიზი.

საქართველო - კვლევაში 2014-2018 წლების მაჩვენებლებია მოცემული, რომელიც პროცესების დინამიკაში ანალიზის საშუალებას მოგვცემს. პირველ რიგში, გადავხედოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2014-18 წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელს:

დიაგრამა: №1.



წყარო: მსოფლიო ბანკი. დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო ბანკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამიდან ჩანს, რომ ყველაზე ნაყოფიერი და პროექტებით სიმრავლით აქტიური 2014 წელია. მომდევნო წლებში როგორც დიაგრამიდან ჩანს პროექტების რაოდენობა საქართველოს და მსოფლიო ბანკის ურთიერთობაში ყოველ მომდევნო წელს მცირდება. ხოლო 2018 წელი შეიძლება ჩაითალოს ნაკლებ აქტიურად საქართველოს და მსოფლიო ბანკის ურთიერთობაში.

დინამიურობის განხილვისთვის პროექტების რაოდენობრივი ანალიზი საკმარისი არ არის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტია პროექტების ფინანსური უზრუნველყოფის შესწავლა: კერძოდ, რა მოცულობის პროექტებია დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მხრიდან. აღნიშნული შედარება, უფრო სრულყოფილ წარმოადგენს რეგიონის ქვეყნებში მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებულ საქმიანობას.

შინაარსობრივად მსოფლიო ბანკის პროექტების დიდი ნაწილი საქართველოს შემთხვევაში მიმართულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით.

პროექტების საერთო მოცულობაში დიდი წილი უჭირავს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მოწესრიგებას, რაც ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ ღირებული და მნიშვნელოვანი პროექტია.

შევისწავლოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2014-2018 წლებში საქართველოში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებელი:

დიაგრამა: №2.



წყარო: მსოფლიო ბანკი. დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო ბანკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა ხაზს უსვამს ერთ ტენდენციას: მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის მიერ 2014-15-16 წლებში დაფინანსებული პროექტების ოდენობა კლებადია დავინახავთ რომ მიუხედავად პროექტების შემცირებული რაოდენობისა 2016 წელს, ფინანსურად 2014-15 წლებთან შედარებით დაფინანსების მოცულობა 2016 წელს საკმაოდ მაღალია.

ასევე, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში 2016 წელს დაფინანსებულ იქნა გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე ეს ერთობლივად 2017-18 წლებში განხორციელებულ პროექტისთვის ფიქსირდება.

თანხობრივი მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების პიკი იყო 2016 წელი. აღნიშნულ პერიოდში

გამოყოფილი დაფინანსება მნიშვნელოვნად აღემატება სხვა წლების ანალოგიურ მაჩვენებელს.

სომხეთი - უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკი საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს სომხეთთან ქვეყნისათვის საჭირო სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებით. გადავხედოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2014-2018 წლების განმავლობაში სომხეთში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივ მაჩვენებელს. 2014-18 წლების მონაცემების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ მსოფლიო ბანკისათვის სომხეთში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე აქტიური 2014-15 წლები იყო.

დიაგრამა: №3.



წყარო: მსოფლიო ბანკი. დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო ბანკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

მსოფლიო ბანკმა სწორედ 2014-2015 ელებში განახორციელა თანაბარი 8-8 პროექტი სომხეთში. შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს მსოფლიო ბანკს საქართველოშიც 8 პროექტი აქვს განხორციელებული. შემდგომ 2016 წელს მსოფლიო ბანკმა სომხეთში 5 პროექტი განახორციელა, რაოდენობრივი კუთხით საქართველოში მსოფლიო ბანკს 2016 წელს 6 პროექტი აქვს, ხოლო 2017 წელს წელს მხოლოდ ოთხი

პროექტი განახორციელა. მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლის შედარებითი ანალიზით თუ ვიმსჯელებთ, 2018 წელი სომხეთში პასიური იყო, ვინაიდან მხოლოდ 1 პროექტი განხორციელდა. სრული ანალიზისათვის შევადაროთ მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების ფინანსური მოცულობები სომხეთსა და საქართველოში ერთსადაიმავე პერიოდში. გადავხედოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2014-2018 წლების განმავლობაში სომხეთში განხორციელებული პროექტების ფინანსურ მაჩვენებელს.

დიაგრამიდან ჩანს, რომ სომხეთში მსოფლიო ბანკის მიერ ყველაზე მსხვილი დაფინანსება განხორციელდა 2015 წელს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის მიერ სომხეთში 2014 წელს განხორციელებული პროექტების რაოდენობა 2015 წელთან შედარებით თანაბარია საკმაოდ ჩამორჩება 2015 წელს მოცემული ფინანსური ოდენობის მაჩვენებელს. 2014 წელს დაფინანსების მოცულობამ 158 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში 2014 წელს დაფინანსებული პროექტების საერთო ღირებულება 213 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. სხვა სურათია 2016 წლის მონაცემებით.

დიაგრამა: №4.



წყარო: მსოფლიო ბანკი. დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო ბანკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

აღნიშნულ წელს სომხეთში მსოფლიო ბანკმა 5 პროექტის განხორციელებისათვის 198 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა, მაშინ, როდესაც საქართველოში ამავე წელს მსოფლიო ბანკმა განახორციელა 6 პროექტი და პროექტების ჯამურმა დაფინანსებამ 238 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2017 წელს სომხეთში მსოფლიო ბანკმა 4 პროექტი დააფინანსა. დაფინანსებული პროექტების საერთო მოცულობამ 58 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ამავე პერიოდში მსოფლიო ბანკმა საქართველოში ხუთი პროექტი დააფინანსა, თუმცა, დაფინანსების საერთო მოცულობამ 51 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს სომხეთში მსოფლიო ბანკმა 2014-18 წლებში ყველაზე ცოტა, 1 პროექტი დააფინანსა და ჯამურად სამი მილიონი აშშ დოლარი დახარჯა. ამავე წელს მსოფლიო ბანკმა სომხეთის მსგავსად საქართველოშიც 1 პროექტი დააფინანსა თუმცა დაფინანსების იოდენობამ სომხეთთან შედარებით გაცილებით მეთი 70 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა

აზერბაიჯანი - მსოფლიო ბანკის მიერ 2014-2018 წლების განმავლობაში აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი ასეთია:

დიაგრამა: №5.



წყარო: მსოფლიო ბანკი. დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო ბანკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამიდან ჩანს, რომ აზერბაიჯანში მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობის მიხედვით პიკი 2014, 2016 წელია და ეს მაჩვენებელი მხოლოდ სამს შეადგენს. შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ 2014 წელს მსოფლიო ბანკის მიერ სომხეთში და საქართველოში განხორციელებული პროექტების ოდენობა თითოეულ ქვეყანაში 8 შეადგენდა. ხოლო 2016 წელს სომხეთში 5 და საქართველოს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 6 შეადგენდა. რაც შეეხება 2017 წელს მსოფლიო ბანკის განხორციელებულმა პროექტებმა ამ შემთხვევაში შედარებით ნაკლები 2 შეადგინა თუმცა რაც შეეხება სხვა წლებთან მიმართებაში (2015,2018) მსოფლიო ბანკის მიერ აქტივობა მცირედით ან სულ არ ფიქსირდება.

ზოგადად, აზერბაიჯანი მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოსაც და სომხეთსაც. თუმცა განსხვავებული სიტუაციაა მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებლის კუთხით.

განვიხილოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2014-2018 წლების განმავლობაში აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებელი:

დიაგრამა: №6.



წყარო: მსოფლიო ბანკი. დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო ბანკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

წარმოდგენილი ციფრების ანალიზიდან ჩანს, რომ მსოფლიო ბანკმა ყველაზე დიდი დაფინანსება აზერბაიჯანში განახორციელა 2016 წელს და აღნიშნულმა თანხამ 300 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. შედარებისთვის - 2016 წელს საქართველოში მსოფლიო ბანკის დაფინანსებამ შეადგინა 289 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო სომხეთში 198 მილიონ დოლარზე მეტი. თუმცა, რაოდენობრივად 2016 წელს საქართველოში განხორციელდა ექვსი , სომხეთში კი ხუთი პროექტი.

აზერბაიჯანში 2014-2018 წლებში მსოფლიო ბანკის მიერ ყველაზე მცირე ინვესტიცია განხორციელდა 2015 წელს და დაფინანსებული თანხის მოცულობამ 34 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა ხოლო 2018 წელს საერთოდ არ გვაქ მსოფლიო ბანკის მიერ აქტივობა. სომხეთშიც მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ყველაზე მცირე თანხობრივი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2018 წელს და შეადგინა 3 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო საქართველოში დაფინანსების მინიმალური მოცულობა იყო 2017 წელს და შეადგინა 51 მილიონი აშშ დოლარი მიუხედავად იმისა რომ პროექტების ოდენობამ 5 შეადგინა ვინაიდან 2018 წელს 1 პროექტი გვაქვს მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული და რომლის ფინანსური უზრუნველყოფაც 70 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

და ბოლოს, გავაანალიზოთ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დაფინანსებული პროექტების ჯამური ფინანსური მაჩვენებელი 2014-2018 წლებში:

დიაგრამა: №7.



წყარო: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი)

ჯამური მაჩვენებლებიდან ნათლად ჩანს, რომ ფინანსური თვალსაზრისით ყველაზე დიდი მოცულობის პროექტები მსოფლიო ბანკმა საქართველოში, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანში განახორციელა, სომხეთი ამ მაჩვენებლით მესამეა რეგიონის ქვეყნებს შორის. შესაბამისად, ფინანსური მაჩვენებლების გაანალიზება ნათლად გვაჩვენებს, რომ მხოლოდ პროექტების რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით (რომლის მიხედვითაც, რაოდენობრივად მსოფლიო ბანკს სომხეთში ყველაზე მეტი პროექტი აქვს განხორციელებული) მსოფლიო ბანკის რეგიონალური საქმიანობის შეფასება შესაძლოა არასწორი აღმოჩნდეს.

2.2 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და აზიის განვითარების ბანკის საქმიანობა სომხეთში აზერბაიჯანსა და საქართველოში

კვლევისთვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის ანგარიშების შედარებითი მიმოხილვა რეგიონში. საკვლევ პერიოდად შევარჩიეთ 2014-18 წლები. ეს წლები ჩვენთვის იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ

პირველ რიგში საკმაოდ აქტიურად ხდებოდა ამ წლებში ორი საეთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის - ევროპის რეკონსტრუქციის ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის რეგიონში წარმოდგენა. ვინაიდან ამ წლებში შესრულებული პროექტების საფუძველზე იქგეგმება რეგიონის ახლო პერსპექტიული მომავალი.

რეგინის ქვეყნებში (საქართველო, სომხეთი,აზერბაიჯანი) ამ ორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და აზიის განვითარების ბანკი სხვადასხვა წლებში იწყებენ აქტივობას. ჩვენთვის საინტერესო პერიოდია 2014-18 წლები რომელ წლებშიც აქტიურად არიან წარმოდგენილი ეს საფინანასო ინსტიტუტები.

საქართველო - გადავხედოთ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის პრიორიტეტებს 2018 წლის 1 დეკემბრის მონაცემების მიხედვით შესრულებულ პროექტებს საქართველოში და მათ წილობრივ მაჩვენებლებს სექტორების მიხედვით:

დიაგრამა: №8.



წყარო: ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი

თვალსაჩინოა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის უმთავრეს პრიორიტეტს საქართველოში ენერგო სექტორი წამოდადგენს. სწორედ ენერგო სექტორზე მოდის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვიტარების ბანკის მიერ 2014-18 წლებში დაფინანსებული პროექტების უდიდესი წილი 54.6%. მეორე ადგილს თითქმის იდენტური მონაცემებით იყობს ინდუსტრია, კომერცია და აგრობიზნესი და ტელეკომუნიკაცია რომელთა მიმართულებით ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების თითქმის 14-14% მოდის. მნიშნელოვან წილს იკავებს ფინანსური სექტორი.სწორედ საფინანსო ინსტიტუტების საშუალებით/გავლით ახორციელებს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის დაფინანსებას ქვეყანაში.თუმცა, ყველაზე მცირე წილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტებში ინფრასტრუქტურას უკავია, რაც უპირატესად მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ტრანსპორტის სექტორის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

რაც შეეხება აზიის განვითარების ბანკს (ADB), მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად მხოლოდ 2008 წლიდან ერთვება საქართველოში განსახორციელებელ პროექტებში, იგი მაინც ახერხებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილის დაკავებას.

გავაანალიზოდ აზიის განვითარების ბანკის მიერ შესრულებული პროექტები და მათი წილობრივი მაჩვენებლები სექტორების მიხედვით 2014-18 წლებში

დიაგრამა: №9.



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

ნათლად ჩანს, რომ აზიის განვითარების ბანკის პროექტებში წამყვანი ადგილი უჭირავს ტრანპორს და გზების მოწესრიგებას. მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება აზიის განვითარების ბანკის საქართველოში წარმოადგენს ინფრასტრუქტურა რაც პროცენტულად 27 % წარმოდგენილი. მესამე მეოთხე ადგილზე ფინანსური სექტორი და ენერგეტიკა დგას, ხოლო ბოლო ადგილზე მულტისექტორი 5,4 პროცენტით.

თუ გავაანალიზებთ ამ ორი საფინანსო ინსტიტუტის ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის და აზიის განვითარების ბანკის პრიორიტეტებს შორის სხვაობას დავინახავთ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ანალიზისას ნათლად ჩანს, რომ ის აქცენტს უფრო მეტად ენერგეტიკის სექტორზე აკეთებს სადაც მისი წილი 54,6 პროცენტია. ხოლო აზიის განვითარების ბანკის ენერგეტიკის სექტორში წილობრივი მაჩვენებელი თითქმის 8 პროცენტია. ხოლო იმ შემთხვევაში როცა აზიის განვითარების ბანკი ძირითად პრიორიტედად ტრანსპორტს ისახავს მიზნად ამ მიმართულებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს პროექტები არ აქვს. ორივე საფინანსო ინსტიტუტის თანაბარ წილობრივ მაჩვენებელს ვხედავთ ფინანსურ სექტორში სადაც თითქმის თანაბარი მაჩვენებელი აქვთ.

დიაგრამა: №10.



წყარო: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი

სომხეთი - საინტერესო და მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ინტიტუტების პრიორიტეტების გამოკვეთა სომხეთში და მისი განხილვა საქართველოსთან მიმართებაში. მითუმეტეს, საქართველოსა და სომხეთს ინფრასტრუქტურული თუ ბიზნეს სექტორის მიმართულებით ხშირად მსგავსი პრობლემები აქვს. ასევე, საკმაოდ საინტერესოა სომხეთის გამოცდილება ქვეყანაში ევროპის რეკონსტრუქციისა და გამვითარების ბანკის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი სომხეთით დიდი ხანია დაინტერესდა, აზიის განვითარების ბანკი 2005 წლიდან ახორციელებს პროექტებს სომხეთში.

ამჟამად 46 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი საკმაოდ აქტიურად საქმიანობს სომხეთში

შევადაროთ ის პრიორიტეული მიმართულებები, რომლებსაც ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ევროპის რეკუნსტრუქციისა და განვითარების ბანკი და აზიის განვითარები ბანკი ახორციელებს ამ ქვეყანაში.

პირველ რიგში, გადავხედოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტებს სომხეთში სექტორების მიხედვით:

დიაგრამა: №11.



წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ევროპის რეკონტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტები სომხეთსა და საქართველოში ნაწილობრივ იდენტურია. აღნიშნული მსგავსება განსაკუთრებით იკვეთება ორი ძირითადი მიმართულებით:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტი სომხეთშიც ენერგო სექტორია. იგი ენერგო სექტორს საკუთარი პროექტების (2014-18 წლები) 46 პროცენტს უთმობს, საქართელოში ეს მაჩვენებელი თითქმის 9 %-ით მეტია.

მსგავსი წილობრივი მაჩვენებელია იმფრასტრუქტურის მიმართულებითაც, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ტურიზმს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ამ მიმართულებით საკუთარი დაფინანსებული პროექტების 13 პროცენტს ახორციელებს სომხეთში, საქართველოში აღნიშნულ მიმართულებას Tითქმის 9 პროცენტიანი წილობრივი მაჩვენებელი აქვს.

ყველაზე დიდი განსხვავება საქართველოსა და სომხეთში მიმართულ დაფინანსებებს შორის არის ფინანნსური სექტორის მიმართულებით. ფინანნსური სექტორის პროექტებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი სომხეთის

შემთხვევაში (2014-18 წლები) საკუთარი პროექტების 20 პროცენტს მიმართავს. მაშინ, როდესაც საქართველოში ეს ციფრი ცხრა პროცენტით განისაზღვრება.

დიაგრამა: №12.



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტების პარალელურად სომხეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება აზიის განვითარების ბანკის მიერ. ამასთან, აზიის განვითარების ბანკის აქტიური თანამშრომლობა სომხეთში საქართველოსთან შედარებით უფრო ადრეულ წლებში იწყენა. გავაანალიზოთ აზიის განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტები სომხეთში შესაბამისი სექტორების მიხედვით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მსგავსად აზიის განვითარების ბანკის მიერ სომხეთსა და საქართველოში განხორციელებულ საქმიანობაში განსხვავებული წილობრივი მაჩვენებლები აქვთ. განვიხილოთ სექტორების მიხედვით:

აზიის განვითარების ბანკი სომხეთში ენერგო სექტორის მიმართულებით 18 პროცენტიანი წილობრივი მაჩვენებელი აქვს საქართველოს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი თითქმის 8 პროცენტია.

- აზიის განვითარების ბანკი სომხეთში ფინანსურ სექტორში 22 პროცენტს მიმართავს. ხოლო თუ ვნახავთ იგივე ინსტიტუტს საქართველოსთან მიმართებაში ეს მაჩვენებელი 10 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკთან შედარებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ფინანნსურ სექტორში გაცილებით მეტი პროცენტული მაჩვენებეი აქვს რაც ამ შემთხვევაში 32 პროცენტს შეადგენს ხოლო საქარტველოსთან მიმართებაში თითქმის თანაბარი 9 პროცენტია.
- ასევე მსგავს სურათს ვხედავთ მუსლტისექტორის სფეროში განხორციელებულ პროექტებში. ამ მხრივ აზიის განვითარების ბანკი სომხეთში განხორციელებული პროექტების (2014-18წწ) 28 პროცენტს მიმართავს, იგივე ინსტიტუტის მაჩვენებელი საქართველოსთან მიმართებაში იგივე სექტორში წილობრივი მაჩვენებელი 5.4 პროცენტს შეადგენს.
- რაც შეეხება ტრანპორიტს აზიის განვითარების ბანკი სომხეთში 9 პროცენტიანი წილობრივი მაჩვენებლითაა წამოდგენილი. ხოლო საქათველოსთან მიმართებაში იგივე ინსტიტუტის მაჩვენებელი 50 პროცენს შეადგენს. ამ მხრივ ბანკის მიერ ქვეყნებში განხორციელებული პროექტების ხვედრით წილში მნიშვნელოვანი სხვაობაა.

კიდევ ერთი პრიორიტეტი. რომელიც აზიის განვითარების ბანკს აქვს ორივე ქვეყანაში ინფრასტრუქტურაა. აზიის განვიტარების ბანკი სომხეთშჰი ინფრასტრუქტურის მიმართულებით მის მიერ განხორციელებული პროექტების წილობრივი მაჩვენებელი 24 პროცენტს შეადგენს, საქარტველოს შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 27 პროცენტია. თუმცა მიუხედავათ განხვავებული მაჩვენებელისა ტრანპორტის მიმართულებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სექტორი ბანკისთვის ტანაბრად პრიორიტეტულია ორივე ქვეყანაში (სომხეთი, საქართველო).

მიუხედავათ განსხვავებისა ნათლად ჩანს რომ თითქმის მსგავსი პრიორიტეტები ფიქსირდება როგორც აზიის განვითარების ბანკის, ისე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხრიდან სომხეთსა და საქარტველოსთან მიმართებაში.

აზერბაიჯანი - სომხეთსა და საქართველოსგან განსხვავებით აზერბაიჯანი მდიდარი ბუნებრივი რესურსებით - ნავთობი და გაზი. რაც ცხადია მის მეზობლებთან შედარებით

აზერბაიჯანს შეუძლია თუნდა აღნიშნული ბუნებრივი რესურსების რეალიზაციით მოიზიდოს მეტი ფინანსური რესურსი.

დიაგრამა: №13.



წყარო: აზიის განვითარების ბანკი.

აზერბაიჯანში როგორც რეგიონის ქვეყნებში (სომხეთი,საქართველო) ორივე საფინანსო ინსტიტუტი საკმაოდ აქტიურად ახორციელებს პროექტებს.

პირველ რიგში, გადავხედოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტების წილობრივი მაჩვენებლებს აზერბაიჯანში სექტორების მიხედვით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტები (2014-18 წწ) აზერბაიჯანში რადიკალურად განსხვავებულია საქართველოსა და სომხეთთან შედარებით ვინაიდან აშკარად იკვეთება ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება ბუნებრივი რესურსების (ნავთობი,გაზი) მიმართ რადგანაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მიმდინარე პროექტების წილობრივი მაჩვენებლში ენერგეტიკა და ბუნებრივი რესურსების მიმართულებით თითქმის 90 პროცენტია. იგივე მიმართულებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თავის პრიორიტეტებში სომხეთში 18 პროცენტს მიმართავს, ხოლო საქარტველოში 54 პროცენტს შეადგენს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ფინანსურ სექტორში აზერბაიჯანში საკუტარი პროექტების 5 პროცენტს მიმართავს, სომხეთში ამ სექტორის წილობრივი მაჩვენებელი 32 პროცენტია, ხოლო საქართველოში 9 პროცენტს შეადგენს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტებიდან ინფრასტრუქტურას 3.4 პროცენტიანი წილი ერგო. ამ მიმართულებითაც საკმაოდ დიდი განსხვავება გვაქვს საქართველოსა და სომხეთის შესაბამის მაჩვენებლებს შორის. ინფრასტრუქტურაზე საქართველოში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების თითქმის 9 პროცენტია მიმართული, ხოლო სომხეტში ეს მაჩვენებელიშედარებით მაღალია 13 პროცენტით განისაზღვრა.

ყველაზე დაბალი წილობრივი მაჩვენებელი ევროპის რეკოსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებულ პროექტებიში 2 პროცენტით ტრანსპორტ უჭირავს.

დიაგრამა: №14.



წყარო: აზიის განვითარების ბანკი.

აზერბაიჯანი ასევე მრავალმხრივ საქმიანობს აზიის განვითარების ბანკთან. შევადაროთ 2014-2018 წლების მაჩვენებლების მიხედვით აზერბაიჯანისა და აზიის განვთარების ბანკის თანამშრომლობა, ერთი მხრივ, აზერბაიჯანისა და ევროპის

რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტებს და მეორე მხრივ, აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოსა და სომხეთში განხორციელებულ ანალოგიურ მიმართულებებს განვიხილოთ აზიის განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტები აზერბაიჯანში სფეროების მიხედვით:

აზიის განვითარების ბანკის პრიორიტეტებიც აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში ნაწილობრივ მსგავსია პრიორიტეტული სექტორების მიხედვით ვინაიდან ძირითადად მსგავს სექტორებში ახორციელებენ პროექტებს თუმცა რაც შეეხება წილობრივ მაჩვენებლებს საკმაოდ განსხვავებულია. ასევე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან და აზიის განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პრექტების წილობრივი მაჩვენებლებიც ქვეყნების მიხედვით საკმაოდ განსხვავდება.

- აზიის განვითარების ბანკი აზერბაიჯანში საკუთარი პროექტების 60 პროცენტს ენერგეტიკის სექტორის მიმართულებით. საქართველოს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 7,60 პროცნეტს შეადგენს, რაც შეეხება სომხეთს - დასახელებული მიმართულებით განხორციელებული პროექტები 18 პროცენტს შეადგენს.
- აზიის განვითარების ბანკის აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტებიდან შემდეგი სექტორი რომელსაც წილობრივი მაჩვენებლებში უდიდესი ნაწილი უჭირავს საჯარო სექტორია 20 პროცნტიანი წილობრი მაჩვენებელით.
- აზიის განვითარების ბანკის მიერ აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების 15 პროცენტი მიმართულია ტრანსპორტზე, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ მიმართულებით განხორციელებული პროექტების წილი 50 პროცენტია. სომხეთის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 9 პროცენტს მცირედით აღემატება.

აზიის განვითარების ბანკის მიერ აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების ყველაზე დაბალი წილობრივი მაჩვენებლები ფინანსურ სექტორსა (3%) და ინფრასტრუქტურაზე (2 %) მოდის. იგივე სექტორების მიხედვით სემხეთის შემთხვევაში ფინანსურ სექტორისწ მიმართულებით 22 პროცენტია, ინფრასტრუქტურის შემთხვევაში კი 24 პროცენტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში აზიის განვითარების

ბანკს ინფრასტრუქტურის მიმართულებით პროექტები საერთოდ არ აქვს, ხოლო ფინანსური სექტორში 10 პროცენტიანი წილობრივი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი.

საქართველოში, სომხეთსა და აზებაიჯანში აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ განხორციელებული პროექტები საკმაოდ საინტერესო და არსებითი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ქვეყნებს ზოგიერთი მიმართულებით ხშირ შემთხვევაში მსგავსი პრობლემები აქვთ, საფინანსო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლები საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საგრძნობლად განსხვავებულია.

აუცილებელია, შევაჯეროთ აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ საქართველოს სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებლები.

აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებლები 2014-2018 წლების ჭრილში ასეთია:

დიაგრამა: №15.



წყარო: აზიის განვითარების ბანკი.

დიაგრამიდან ჩანს, რომ რეგიონში აზიის განვითარების ბანკის მიერ ფინანსური თვალსაზრისით ყველაზე დიდი პროექტები აზრბაიჯანში განხორციელდა, აზერბაიჯანის შემდგომ მოდის საქართველო. რეგიონში ფინანსური კუთხით ყველაზე მწირი პროექტები აზიის განვითარების ბანკმა სომხეთში განახორციელა.

დიაგრამა: №16.



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

შევისწავლოთ აზის განვითარების ბანკის მიერ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლები 2014-2018 წლების ჭრილში:

თვალსაჩინოა, რომ აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროეტების რაოდენობრივი მაჩვენებელი განხვავდება და ნათელია რომ საქართველოში აზიის განვითარების ბანკს შესრულებული აქვს 19 პროექტი (2014-18წწ). ხოლო აზერბაიჯანის შემთხვევაში 17. თუმცა, თანხობრივი მაჩვენებლის მიხედვით აზერბაიჯანში მეტი თანხაა დახარჯული არსებულ 17 პროექტზე, ვიდრე საქართველოში 19 პროექტზე.

აზიის განვითარების ბანკის მიერ რეგიონში განხროციელებული პროექტების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებელის მიხედვით ბოლო ადგილს იკავებს სომხეთი.

საინტერესო მდგომარეობაა რეგიონში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების მხრივ. მნიშვნელოვან მონაცემებს იძლება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში პროექტების რაოდენობა, მთლიანი პორტფელის ღირებულება და კერძო სექტორის წილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონში განხროციელებული პროექტების პორტფელში.

დიაგრამა: №17.



წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებიდან ჩანს, რომ ბანკს საქართველოში ყველაზე მეტი ხელმოწერილი პროექტი აქვს, შემდგომ ადგილზეა აზერბაიჯანი და ბოლო პოზიციას იკავებს სომხეთი.

მიუხედავად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში ხელმოწერილი პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლისა, ბანკის მიერ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების მთლიანი პორტფელი განსხვავებულ სტატისტიკას იძლევა. დიაგრამიდან ჩანს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული პროექტებიდან ყველაზე დიდი პორტფელი აზერბაიჯანს გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით პროექტების რაოდენობა შედარებით მცირეა.

შევისწავლოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქართველო-ში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული პროექტების პორტფელი 2014-18 წლების ჭრილში:

დიაგრამა: №18.



წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ სომხეთში განხორციელებული პროექტების საერთო პორტფელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების საერთო პორტფელის მაჩვენებელს.

მონაცემების მრავალმხრივი ანალიზის შედეგად ჩანს, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით აზიის განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული პროექტები შედარებით თანაბარია საქართველოსა და აზერბაიჯანის შემთხვევაში, ხოლო სომხეთის შესაბამისი მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.

იგივე მდგომარეობაა ფინანსური მაჩვენებლის მიხედვით. აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებული პროექტების ღირებულებით აზერბაიჯანისა (რომელიც პირველ ადგილს იკავებს ამ მაჩვენებლით) და საქართველოს შემდეგაა. კვლევის თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში ხელმოწერილი პროექტების მიხედვით საქართველო (პირველ ადგილს იკავებს

ამ მაჩვენებლით) და აზერბაიჯანი ლიდერობენ, სომხეთს ამ შემთხვევაშიც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი აქვს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონში განხორციელებული პროექტების საერთო პორტფელის მხრივ დაახლოებით მსგავსი სიტუაცია აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანს, სომხეთი ამ მაჩვენებლითაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეგიონის ქვეყნებს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საერთო პორტფელში არსებული კერძო სექტორის წილობრივი მაჩვენებლის მიხედვით დაახლოებით თანაბარი პოზიცია აქვს სომხეთსა და საქართველოს, საერთო პორტფელში კერძო სექტორის წილის მიხედვით რეგიონის ქვეყნებს შორის მესამე ადგილი უკავია აზერბაიჯანს.

რაც შეეხება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონში განხორციელებული აქტიური პროექტების რაოდენობას, ამ მაჩვენებლით ლიდერობს საქართველო, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთს დაახლოებით თანაბარი მაჩვენებელი გააჩნიათ.

ჯამურად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული პროექტების ფინანსური და რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით უფრო მეტად თანაბარი მაჩვენებლები აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანს, ვიდრე სომხეთს. თუმცა, შედარებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო ძირითადად აქცენტირებულია კერძო სექტორის პროექტებზე, აზერბაიჯანში კი პროექტების დიდი ნაწილი მიმართულია სახელმწიფო სექტორის განვითარებაზე

თავი III. საერთაშორისო ბანკების და სხვა ინსტიტუტების როლი ქართულ ბიზნეს გარემოს სტიმულირებაში

3.1 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და საქართველო

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების შესწავლისთვის აუცილებელია ისეთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის სტრატეგიის განხილვა, როგორიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს არაერთი მრავალმილიონიანი პროექტი აქვს განხორციელებული საქართველოში, რომელიც ითვალისწინებდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების შედეგად მოხერხდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ბანკის მიერ კერძო სექტორის დაფინანსებამ უზრუნველყო როგორც კომპანიების განვითარება, ისე ახალი ინვესტიციების მოძიება ქვეყანაში. საკმაოდ წარმატებული პროექტები აქვს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს განხორციელენბული საქართველოში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით საქართველოში უზრუნველყოფილ იქნა საბანკო ინდუსტრიის შემდგომი ლიკვიდურობა, აღნიშნული ინიციატივა განხორციელდა უმეტესწილად მცირე და საშუალო საწარმოებზე სესხების გაცემის ხელშეწყობის მიზნით. მცირე და საშუალო

საწარმოების დაფინანსება, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია საქართველოში ბიზნესის განვითარების მიმართულებით.

ენერგოსექტორის კუთხით EBRD-ის მნიშვნელოვანი პროექტი იყო, ასევე, შავი ზღვის 500 კვ გადამცემი ხაზის დაფინანსება, რომელიც საქართველოს გავლით დააკავშირებს აზერბაიჯანსა და თურქეთს. ვფიქრობთ, აღნიშნულმა პროექტმა სტიმული უნდა მისცეს საქართველოში ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობას, მინიმუმ თურქეთის ენერგომოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილების მიზნით. ენერგოსექტორის მიმართულებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს საქართველოში რამოდენიმე წარმატებული პროექტი აქვს განხორციელებული.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული ერთ-ერთი საინტერესო პროექტი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამა (GAFF). ევროპის რეკონსრუქციისა და განვითარების ბანკის შეფასებით, GAFF-ი უზრუნველყოფს გარდამავალი პერიოდისათვის საბანკო დაფინანსების ხელმისაწვდომობას უპირველესად ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის აგრობიზნესში, პროექტის მიოზანია მდგრადი განვითარების საუკეთესო პრაქტიკის და ფერმერული მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა ტექნიკურ დახმარებასთან ერთად. ბუნებრივია, სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი კომპანიებისათვის საბანკო სესხების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სფეროს შემდგომი განვითარებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, განახორციელა სამი ძირითადი გამოწვევის იდენტიფიცირება მომდევნო სტრატეგიული პერიოდისთვის.

- კერძო სექტორში კაპიტალდაბანდებების ხელშეწყობა, რომელიც შემცირდა კრიზისის შემდეგ;
- ენერგოსექტორის მოდერნიზაციის დასრულება;

• საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოების მასშტაბის ზრდით განპირობებული ეკონომიიდან სარგებელის მისაღებად.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვიტარების ბანკის მიერ, დასაქმების ხელშეწყობიდან გამომდინარე, ბანკი საქართველოში მიზნად ისახავს წარმოების დონის ამაღლებას შრომატევად დარგებში, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, წარმოებასა და მშენებლობაში. აღნიშნული მიმართულებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს საქართველოში საქმიანობის საინტერესო გამოცდილება გააჩნია რაც გამოიხატება აგრო ტურიზმის განვიტარებაში დამათებითი ინფორმაციისთვის იხილეთ (EBRD and EU promote Georgia's agritourism potential).

ახალი სტრატეგიის ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ასახელებს საქართველოში გარდამავალი პერიოდის სპეციფიურ სექტორულ გამოწვევებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კერძო ინვესტიციებისათვის. მათ შორისაა:

• კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის გაძლიერება, კორპორაციული მართვის ხელშეწყობა და ბიზნეს სტანდარტების 69 დანერგვა პროდუქციის ხარისხის, გარემოსა და ჯანდაცვის, ასევე უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროებში;

• ადეკვატური კაპიტალური და ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისა (MSMES) და დამწყები საწარმოებისათვის სოფლის მეურნეობის სფეროში, კერძოდ, კი საქართველოს რეგიონებში;

• სოფლის მეურნეობის სექტორის ლიბერალიზაცია, სექტორის ეფექტურობის გაუმჯობესებით, აგრეთვე ჰიგიენისა და ხარისხის სტანდარტების შემოღებით პროაქტიური პოლიტიკის გატარების ხარჯზე. საცალო გაყიდვების სექტორში კონკურენციისა და მომსახურების სტანდარტების ამაღლება;

• საბანკო სექტორისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერება და ფინანსური შუამდგომლობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით MSME სექტორსა და რეგიონებში, რაც ითვალისწინებს საბანკო სექტორის მზადყოფნას დასავლეთის ფინანსური ინსტიტუტების შემდგომი საინვესტიციო სტრატეგიის მხარდასაჭერად;

• ბანკების დაფინანსებასთან დაკავშირებული გადასახადების ვადის გაგრძელება (ეროვნულ ვალუტაში) სესხების გასაცემად ეროვნულ ვალუტაში, არაჰეჯირებულ SME-სა და საცალო მსესხებლებზე ფოკუსირებით, უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის რისკის შესამცირებლად და პორტფელის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად; გრძელვადიანი დანაზოგების გაძლიერება ადგილობრივ ვალუტაში, ინფლაციის დონის და ცვალებადობის შემცირებით, აგრეთვე არასაბანკო ფინანსური საქმიანობის განვითარებით, როგორიცაა ლიზინგი, დაზღვევა და საპენსიო ფონდი.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დახმარებას გაუწევს წარმოების სექტორს. ამ მხრივ, მხარდაჭერა შესაძლოა გამოიხატოს გადამამუშავებელი კომპანიების საწარმოო ტექნოლოგიებში თანამედროვე სტანდარტების დანერგვის კუთხით. საინტერესოა ასევე ის ინიციატივები, რომელიც შეეხება გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების მკაცრი სტანდარტების დანერგვას.

სტრატეგიის თანახმად, საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს საშუალო და მცირე საწარმოებს. ამასთან, საშუალო თანადაფინანსების პროგრამის (MCFF) გამოყენებით, შესაძლოა გაიზარდოს საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა ბანკის მხრიდან.

ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად კვლავ რჩება აგროსექტორი. შესაბამისად, ბანკი დაეხმარება სოფლის მეურნეობის სექტორს მიწოდების ადგილობრივი ქსელის განვითარების საშუალებით. ამასთან, ხელს შეუწყობს ეფექტური წარმოების გაზრდას და მაღალი სტანდარტების დანერგვას. ყოველივე აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საშუალებით, ასევე ნოუ-ჰაუს გადაცემით. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფუძნებული აგრობიზნესის დაფინანსების პროგრამა საქართველოში (GAFF) ძლიერი იარაღი იქნება კაპიტალის ქრონიკული დეფიციტის აღმოსაფხვრელად ამ სექტორში. თუმცა, ბანკის სტრატეგიის თანახმად ირკვევა, რომ ბანკის მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოფლის მეურნეობის სფეროში

დამწყები საწარმოების მხარდაჭერას (განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც გადადიან ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო წარმოებაზე).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია ენერგოსექტორის სრული მოდერნიზაცია. სტრატეგიის თანახმად, ამ მიმართულებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დაასრულებს იმ პროექტებს ენერგოსექტორში, რომლებიც დაიწყო გასული სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში. არსებული და პოტენციური პროექტების მიზანია ენერგიის წარმოების გაზრდა და ექსპორტის ბაზრებზე გასვლა. ამასთან, ბანკი ასევე გააგრძელებს გადამცემი სისტემის გაძლიერებას, რომელიც შემუშავებული იყო შავი ზღვის გადამცემი ხაზის სახით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებულ ინიციატივებს შორის მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის მხარდასაჭერი მიმართულება. აღნიშნული მიმართულება ხორციელდება ორი - საწარმოთა ზრდის (EGP) და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების (BAS) კომპლიმენტარული პროგრამის განხორციელებით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (2013 წლის დოკუმენტის: „სტრატეგია საქართველოსთვის“) მონაცემების თანახმად EGP-მ საქართველოში განახორციელა 38 პროექტი. აღნიშნული პროექტები განხორციელდა ინდუსტრიის სხვადასხვა დარგში, მათგან პირველ სამეულშია საკვების, სასმელის და ქიმიური წარმოება. რაც შეეხება ეფექტიანობის მაშვენებლებს: EBRD-ის მონაცემების თანახმად, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 21 პროექტი შეფასდა: მათგან - 48 % შეფასდა, როგორც "უაღრესად წარმატებული", და 48 %, როგორც "წარმატებული"პროექტი.

მთლიანობაში BAS ეხმარება მცირე საწარმოებს, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების 76 %-ზე მეტი ეხება ისეთ საწარმოებს, რომელთაც 50-ზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავს. BAS საქართველოში კონცენტრირებულია სოფლის განვითარების ხელშეწყობაზეც.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ტიპის პროგრამების ფარგლებში ბანკის საქმიანობია ძირითადად ეფექტიანად ფასდება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მიმოხილული

პროექტების ფარგლებში გააგრძელოს აქტიური და მრავალმხრივი თანამშრომლობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან.

გასათვალიწინებელია ისიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მიმართულებების მიხედვით დასახელებული პროექტები ძირითადად ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომელსაც მთავრობა ეკონომიკის განვითარების მიმართულებით ასახელებს. მათ შორისაა, სოფლის მეურნეობა, ენერგოსექტორი, წარმოების განვითარება, საფინანსო ინსტიტუტები და, ზოგადად, დასაქმების ზრდა, რომელსაც მივიღებთ შრომატევადი დარგების განვითარებით.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმმიანობის მიმოხილვის დროს იკვეთება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს უფრო ნათლად აქვს წარმოდგენილი და ფორმულირებული ქვეყნის საჭიროებები, ვიდრე ეს თავად ქვეყანას გააჩნია. იგივე შეიძლება ვთქვათ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ წარმოდგენილ საკმაოდ კარგად გაწერილ სტრატეგიაშიც.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დოკუმენტები:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი „სტრატეგია საქართველოსთვის“ 2013

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი „სტრატეგია საქართველოსთვის“ 2017

3.2 აზიის განვითარების ბანკი და საქართველო

იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის, რომელთაგან საქართველოს სახელმწიფო თუ კერძო სექტორი იღებს დახმარებებს, აზიის განვითარების ბანკი უმნიშნელოვანეს როლს ასრულებს. 2007 წლის სექტემბერში როდესაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მასპინძელ ქვეყანასთან, აზიის განვითარების ბანკმა საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობა გახსნა და 2007 წლის დეკემბერში უკვე ფუნქციონირება დაიწყო.

აზიის განვითარების ბანკის აქტივობებმა განსაკუთრებული მისია შეასრულა და სერიოზული დახმარება გაუწია ქვეყანას 2007 წლის რუსეთსაქართველოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზის ფონზე. ამასთან, აზიის განვითარების ბანკის პროექტების ანალიზისას ნათლად ჩანს ერთი ტენდენცია - პროექტების დიდი ნაწილი შესაფასებელია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური ეფექტიანობის მიმართულებით. კერძოდ, აზიის განვითარების ბანკის მრავალი პროექტი სწორედ მოქალაქეთა ყოველდღიური საერთო სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. წყალმომარაგების, ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეფექტური საქალაქო ტრანსპორტის მიმართულებით განხორციელებული პროექტები „საქართველოს მოქალაქეებზე ორიენტირებული“ პროექტების მხოლოდ მცირე ნაწილია.

იმისათვის, რომ ეფექტური გახდეს ბანკის მიერ განხორციელებული პროექტები უფრო შედეგზე ორიენტირებული იყოს და გამოირჩეოდეს მაღალი მდგრადობით, აზიის განვითარების ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს კერძო სექტორთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აზიის განვითარების ბანკი საქართველოში მხოლოდ 2008 წლიდან მოქმედებს აქტიურად, თუმცა, მიუხედავად ამისა, პარტნიორული ურთიერთობები სწრაფად განვითარდა და აზიის განვითარების ბანკის პორტფელი და დაფინანსების მოცულობა ქვეყანაში საკმაოდ სწრაფად იზრდება.

უნდა აღნიშნოს, რომ აზიის განვითარების ბანკის შეფასების მიხედვით საქართველოში არსებული ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, უკიდურესი სიღარიბე ქვეყნისათვის კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. აზიის განვითარების ბანკის შეფასებით, ქვეყნისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი, სწორად გამიზნული სისტემის განვითარებას. აგბ-ის შეფასებით არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოში საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციის რეგულირება უცხოური და შიდა კერძო ინვესტიციების გააქტიურებისა და მეზობელ ქვეყნებთან კავშირების შემდგომი

განვითარების თვალსაზრისით. ეს ყოველივე წინაპირობაა იმისა, რომ საქართველომ რეგიონის საკვანძო ქვეყნის სტატუსი რეალურად დაიმკვიდროს.

2007 წლიდან დღემდე აზიის განვითარების ბანკ შესაბამისი ანგარიშის თანახმად საქართველოსთვის გამოყოფილი აქვს 2.8 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი, მათ შორის 1.4 მილიარდი აშშ დოლარი ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან, 902 მლნ აშშ დოლარი შეღავათიანი ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან, 455 მილიონი აშშ დოლარი არასუვერენულ სესხებზე, 17 მილიონი აშშ დოლარი ტექნიკურ დახმარებასა და ვაჭრობის დაფინანსებაზე.

აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები და პროგრამები -2019 წლის 29 სექტემბრამდე საქართველოში 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა განხორციელდება. იგი მოიცავს ქობულეთის ახლად გახსნილ 34-კილომეტრიან შემოვლით გზას, რომლის მეშვეობითაც მძიმე ტრანსპორტის მოძრაობა პოპულარული ტურისტული ქალაქის - ქობულეთის შემოვლით ხდება, რაც გააუმჯობესებს ქალაქის საქმიან და გასართობ გარემოს. ეს ასევე ხელს უწყობს საქართველოს ცენტრალური სატრანსპორტო მარშრუტის შემუშავებას.

ასევე 228 მილიონიანი ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი ADB-ის პირველი თანადაფინანსებული პროექტია საქართველოში და მოიცავს 14.3 კმ სიგრძის ორზოლიან შემოვლით გზას, რომელიც შავი ზღვის საკურორტო და საპორტო ქალაქ ბათუმს გვერდს უქცევს, ასევე შედეგებზე დამყარებულ ტექმომსახურების ხელშეკრულებებს 200 კმ სიგრძის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე.პროექტის დანაზოგების შეცვლილმა დანიშნულებამ შესაძლებელი გახადა ფოთის ხიდისა და ბაკურციხე წნორის გზის მშენებლობის დაფინანსება, რაც ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ საქართველოში რეგიონულ სატრანსპორტო კავშირებსა და კომერციულ სატრანსპორტო მარშრუტებს გააუმჯობესებს.

2018 წელს აზიის განვიტარების ბანკმა გამოყო 300 მილიონი აშშ დოლარი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთის) გაუმჯობესების პროექტზე, მათ შორის 12 კმ სიგრძის ოთხზოლიანი

ავტომაგისტრალის მონაკვეთის მშენებლობასა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

300 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა მოქმედებს 2020 წლის ივლისამდე. მისი მიზანია საკვანძო ქალაქებში საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელის აღდგენა და ეფექტური სატრანსპორტო სისტემების შექმნა, მათ შორის, ახლად აშენებული მეტროსადგური „სახელმწიფო უნივერსიტეტი“ 2016 წლის ოქტომბერში გაიხსნა.

ამავე დროს, 2016 წელს დასრულდა 48 მილიონი დოლარის ოდენობის რეგიონული ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაძლიერების მიზნით აშენდა და განახლდა ოთხი ელექტროქვესადგური.

2014-2016 წლებში, ADB-მა ასევე დააფინანსა 250 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ვალის და ბიუჯეტის მართვის გაძლიერებას, საპენსიო სისტემის რეფორმას, კაპიტალის ბაზრების განვითარებას და კერძო ინვესტიციების წახალისებას, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და ოჯახებისთვის უკეთესი სოციალური დაცვის უზრუნველყოფას.

ოპერაციული გამოწვევები - შემოსავლებისა და დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით საქართველოს რეგიონებს შორის უთანასწორობა შესამჩნევია, განსაკუთრებით თვალში საცემია ეს სოფლებისა და ქალაქების შედარებისას. ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია ნახევრად ურბანულ და სოფლის ტერიტორიებზე ფინანსურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის გაფართოება. ADB ბიზნესის მხარდაჭერისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში ეხმარება საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც მძლავრი ეკონომიკური ზრდის გრძელვადიან მექანიზმად მიიჩნევა. ბანკის სუვერენული და არასუვერენული ოპერაციების მეშვეობით, 14,000-ზე მეტმა საწარმომ მიიღო საწყისი გრანტი და ბიზნესსესხი. ADB გააგრძელებს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებას, განსაკუთრებით თბილისის გარეთ, რეგიონებში სიღარიბისა და

უთანასწორობის შესამცირებლად. უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოში შრომის ბაზარზე არსებული დაბალი კვალიფიკაციის ხარისხზე მიანიშნებს. ADB განვითარების სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით, მხარს დაუჭერს მთავრობის განათლების სექტორის რეფორმებს, რათა გადაჭრას კვალიფიკაციის შეუსაბამობის პრობლემა და გააძლიეროს შრომის პროდუქტიულობა.

სამომავლო მიმართულებები – ADB ხელს შეუწყობს საქართველოში და კავკასიის რეგიონისთვის ეკონომიკური დერეფნების ჩამოყალიბებას. ბანკმა გააერთიანა მრავალი და მრავალფეროვანი კომპეტენცია - რაც ცნობილია, როგორც „ერთიანი ADB“ მიდგომა - ანაკლიის რეგიონული განვითარების ინიციატივისთვის, რომელიც მთავრობისა და ADB-ის 3 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების წამყვანი პროექტია საქართველოსა და კავკასიის რეგიონში. ADB ასევე ხელს შეუწყობს საჯაროკერძო პარტნიორობის მეშვეობით საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის შექმნის ინიციატივებს. საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობის ფარგლებში ბანკს შექმნილი აქვს კერძო სექტორის დეპარტამენტის რეგიონული ცენტრი ქვეყანასა და რეგიონში ინტეგრირებული განვითარების გადაწყვეტილებების უზრუნველყოფის მიზნით. ბანკი განაგრძობს ინკლუზიური ზრდის მხარდაჭერას საქართველოში საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების განვითარების საინვესტიციო პროგრამისა და განათლების სექტორის განვითარების პროგრამის მეშვეობით.

3.3 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი და მრავალმხრივი კრედიტორებისადმი დავალიანება

სახელმწიფო ვალი არის სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი და მათზე დარიცხული პროცენტები, რომლებიც დროის მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის. ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს ვალის გამართლების უამრავი მიზეზი: მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ან ქვეყნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ა.შ. სახელმწიფო ვალი თავის მხრივ იყოფა ორ

ნაწილად: სახელმწიფო საგარეო და სახელმწიფო საშინაო ვალად. სახელმწიფო საშინაო ვალი არის ქვეყნის მთავრობის მიერ საკუთარი მოქალაქეებისაგან აღებული ვალი. სახელმწიფო საგარეო ვალი კი არის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებისაგან, ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან გარკვეული მიზნებისათვის აღებული სესხი.

საგარეო ვალის აღება ეკონომიკური თვალსაზრისით იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც ქვეყანაში ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას, ან არსებობს გათვლა, პროგნოზი ქვეყანაში პოტენციური ეკონომიკური ზრდის მიმართულებით და სწორედ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის საჭირო ხდება ქვეყნის გარედან დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც სურს ვალის აღება, უნდა ჰქონდეს მზარდი მიმდინარე ან პოტენციური შემოსავალი, რათა გრძელვადიან პერიოდში მაინც ადვილად შეძლოს აღებული ვალის, ე.წ. ძირი თანხისა და მისი ასევე მზარდი პროცენტების დაფარვა.

სახელმწიფო საგარეო ვალს ოთხი მიმართულება აქვს: პირველი, ეს არის ვალი მრავალმხრივი კრედიტორებისაგან, ანუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან; მეორე, ორმხრივი კრედიტორებისაგან აღებული ვალი, როდესაც ქვეყანა სხვა ქვეყნისაგან სესხულობს ფულს; მესამეა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით დაგროვილი ვალი და ბოლოს, სესხი, რომელიც მესამე ქვეყნიდან, ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან ხორციელდება სახელმწიფოს გარანტიის პირობით.

2019 წლის 30 მაისის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ხუთი მილიარდ 367 მილიონი აშშ დოლარია. მათ შორის, საქართელოს მთავრობის ვალი ხუთი მილიარდ 201 მილიონი აშშ დოლარია. ამათგან, მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები) საქართველოს დავალიანება სამი მილიარდ 759 მილიონი აშშ დოლარზე მეტია, ამას ემატება ამავე პერიოდისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის დავალიანება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ, რომელიც 165 მილიონ აშშ დოლარს აღემატება.

სახელმწიფოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისადმი დავალიანების შედარებისათვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ორმხრივი კრედიტორებისადმი

(ცალკეული ქვეყნებისადმი) საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი 2019 წლის 30 მაისის მდგომარეობით მხოლოდ 940 მილიონ აშშ დოლარს აღწევს.ცხადია, რომ აღნიშნული ციფრი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს მთავრობის დავალიანებას მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ.

ცხრილი:№1

ორმხრივი კრედიტორები Bilateral				**940 399**	**2 635 281**
სომხეთი	Armenia	USD	8 305	8 305	23 272
აზერბაიჯანი	Azerbaijan	USD	7 435	7 435	20 836
ავსტრია	Austria	EUR	17 930	19 969	55 958
ჩინეთი	China	CNY	9 000	1 303	3 651
საფრანგეთი	France	EUR	219 147	244 062	683 935
გერმანია	Germany (KfW)	EUR	285 483	317 941	890 965
ირანი	Iran	USD	5 719	5 719	16 028
იაპონია	Japan	JPY	23 559 956	214 749	601 792
ყაზახეთი	Kazakstan	USD	16 574	16 574	46 444
კუვეიტი	Kuwait	KWD	3 093	10 160	28 472
ნიდერლანდები	Netherlands	EUR	714	796	2 230
რუსეთი	Russia	USD	58 773	58 773	164 699
თურქეთი	Turkey	USD	14 273	14 273	39 996
თურქმენეთი	Turkmenistan	USD	211	211	591
უკრაინა	Ukraine	USD	128	128	359
ამერიკა	United State	USD	19 861	19 861	55 658
უზბეკეთი	Uzbekistan	USD	140	140	394

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ამასთან, ორმხრივი კრედიტორებს შორის, საქართველოს ყველაზე დიდი დავალიანება აქვს გერმანიის მიმართ. ეს დავალიანება თითქმის 318 მილიონ აშშ დოლარს აღწევს (თანხა ნომინირებულია ევროში), გერმანიის მიმართ დავალიანებაში იგულისხმება გარანტირებული კრედიტიც.

გადავხედოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს ორმხრივ და მრავალმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში - 2019 წლის 30 მაისის მდგომარეობით (ათასი აშშ დოლარი):

დიაგრამა: №19



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის საგარეო ვალი მნიშვნელოვნად აღემატება ორმხრივი კრედიტორების მიმართ არსებულ დავალიანებას, გასათვალისწინებელია, რომ მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ საქართველოს მთავრობის დავალიანება ხშირად გაცილებით უფრო შეღავათიან პირობებს გულისხმობს (როგორც ძირი თანხის დაფარვის გრაფიკის, ისე საპროცენტო განაკვეთის მხრივ), ვიდრე ეს ორმხრივი კრედიტორებისგან აღებული ვალის - ცალკეული ქვეყნებისადმი დავალიანების მიმდინარე პირობები. ამიტომ, როდესაც სესხების ეკონომიკურ ეფექტიანობას ვაფასებთ, უნდა გავანალიზოთ სესხის გაცემის პირობები და საპროცენტო განაკვეთი.

საქართველოს სახელმწიფოს საგარე ვალი მრავალმხრივ კრედიტორებთან (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან) მიმართებაში თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა. თუმცა, პარალელურად შესამჩნევი იყო ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და საკმაოდ მძიმე ეკონომიკური რყევების პირობებში მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

განვიხილოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მრავალმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში:

დიაგრამა: №20



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2019 წლისათვის საქართველოს მთავრობას ათი მრავალმხრივი კრედიტორის მიმართ აქვს დავალიანება, ესენია:

- აზიის განვითარების ბანკი (ADB)
- აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)
- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)
- ევროგაერთიანება (EU)
- მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)
- მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)
- ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)

გარდა აღნიშნული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა, საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ცალკე წარმოქმნილი დავალიანება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ.

საქართველოს ეროვნული ბანკის დავალიანება საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი წლების მიხედვით:

დიაგრამა: №21



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ 2014-19 წლებში ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარების გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2018 წელს ფიქსირდება და ამ მონაცემს თითქმის უთანაბრდება 2019 წელის პირველი კვარტალის მონაცემები. რომ 2014-16 წლებში ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარების გამოყენების ტენდენცია კლებადია რასაც ვერ ვიტყვით შემდგომ წლებზე რაც დიაგრამაზე ნათლად ჩანს თუ როგორ დინამიურად იზრდება.

ამასთან, აუცილებელია, იმ ციფრების ანალიზი, თუ რომელი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან მიმართებაში აქვს საქართველოს მთავრობას ყველაზე მაღალი დავალიანება 2019 წლის მაისის მონაცემებით.

შევისწავლოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მრავალმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში(იხ. დიაგრამა №22)

დიაგრამიდან ჩანს, რომ აზიის განვითარების ბანკი საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობას საქართველოს მთავრობასთან და მთავრობის მთავარი კრედიტორი ხდება ის რიგით პირველ ადგილს იკავებს საფინანსო ინსტიტუტებს შორის დაფინანსების რაოდენობით. ამასთან, მისი დახმარებები ყოველწლიურად უფრო მზარდი ხდება.

დიაგრამა №22



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამაზე ნათლადაა გამოყოფილი საქართველოს საგარეო ვალის უმსხვილესი კრედიტორები. გავაანალიზოთ თითოეული მსხვილი კრედიტორის მონაცემები წლების მიხედვით.

გადავხედოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს აზიის განვითარების ბანკის მიმართ წლების მიხედვით:

დიაგრამა: №23



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2019 წლის 30 მაისის მონაცემებით რიგით მეორე, საქართველოს მთავრობის უმსხვილესი პარტნიორია განვითარების საერთაშორისო ასოციაციაა. გადავხედოთ

საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მიმართ წლების მიხედვით:

დიაგრამა: №24



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ განვითარების საერთაშორისო ასოციაციის აქტივობა 2014-2018 მცირდება. საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ კლებადი ხასიათი აქვს.

საქართველოს მთავრობის მრავალმხრივ კრედიტორთა შორის იკვეთება ევროპის საინვესტიციო ბანკი. აღსანიშნავია, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკი ორი წლით უფრო გვიან იწყებს აქტივობებს საქართველოში, ვიდრე აზიის განვითარების ბანკი(ADB).

გადავხედოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს ევროპის საინვესტიციო ბანკის მიმართ 2014-19 წლების მიხედვითმ 2019 წლის მაისის მონაცემებით:

დიაგრამა: № 25



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკის აქტივობა 2014-2016 წლებში დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თუმცა, 2017 წლიდან აქტიურობის დონე საგრძნობლად და 2019 წლის ჩათვლით საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ მზარდი ხასიათი აქვს.

გადავხედოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს მსოფლიო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიმართ წლების მიხედვით:

დიაგრამა: №26



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

წარმოდგენილი დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ მსოფლიო ბანკის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო (IBRD) ბანკი საქართველოს მთავრობასთან აქტიურ თანამშრომლობს. საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს, მსოფლიო ბანკთან, განვითარების საერთაშორისო ასოციაციასთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან, ასევე აზიის განვითარების ბანკთან. მიუხედავად შედარებით გვიან დაწყებული თანამშრომლობისა, ჩანს, რომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის შემდგომ საქართველოს მთავრობის მთავარი კრედიტორია. ამასთან, მისი დახმარებები ყოველწლიურად უფრო მზარდია.

საქართველოსათვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი დაფინანსების დინამიკას მთლიანობაში თუ გავაანალიზებთ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განსაკუთრებული აქტიურობა სტაბილურად დინამიურად ზრდადია. რაც შეეხება პროექტების მიზნობრიობას, მიუხედავად იმისა, რომ პროექტების დიდი ნაწილი სოციალური ხასიათისაა, ბიზნესის განვითარებას მნიშნელოვნად შეუწყო ხელი, განსაკუთრებით კი, ინფრასტრუქტურულმა და მუნიციპალურმა პროექტებმა. ამასთან, საქართველოს მიეცა შანსი დამატებით ეთანამშრომლა იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, რომლებიც მანამდე საქართელოსთან მიმართებაში განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩეოდნენ.

კვლევა. იმისათვის რომ შევაფასოთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების განხორციელებული პროექტები და მათი ეფექტურობა არ კმარა მხოლოდ საჯარო სექტორის შეფასება და წარმოდგენილი ოფიციალური მონაცემები ვინაიდან საჯარო სექტორის თუ ფინანსური ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პროექტები პირდაპირ შეეხება კერძო სექტორს რომელიც ქმნის ქვეყნის მიკრო თუ მაკრო გარემოს.

ამრიგად მნიშვნელოვანია ბიზნეს სუბიექტების აზრი თუ რამდენად ეფექტურად აფასებენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაში და მათი აზრით, რომელ სექტორს მიიჩნევენ პრიორიტეტულად რეგიონის განვითარებისათვის უპირატეს მიმართულებად

ამისათვის ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა ელექტრონული ფორმის მეშვეობით, სულ დასმულ იქნა 11 კითხვა აქედან 7 თემატუტური.

დიაგრამა: №27

კვლევაში მონაწილეთა ასაკი



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

სულ გამოკითხულ იქნა 70 ბიზნეს სუბიეტი რომელთა ძირითად ასაკს შეადგენდა 18 დან 35 წელს, რომელიც დეტალურად ჩანს წარმოდგენილ დიაგრამაზე.

გამოკითხული მოქალაქეების დიდი ნაწილი 87,5% არის უმაღლესი განათლების მქონე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი ხოლო საშუალო განათლების მქონე მხოლოდ 12,5% იყო

დიაგრამა №28

კვლევაში მონაწილეთა განათლების დონის შესახებ



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

ჩვენს მიერ გამოკითხულთა უმრავლების სამართლებრივ ფორმას შეადგენდა შეზღუდული პასუხისმგელობის საზოგადოება (შ.პ.ს) 31,1 %; შემდეგ კომანდიტური საზოგადოება 26.4%-ით; ხოლო პროცენტულად გამოკითხულთა 16,7%-ს მიკრო/მცირემეწარმე სუბიექტები წარმოადგენდნენ.

დიაგრამა №29

კვლევაში მონაწილეთა ბიზნეს სუბიექტების სამართლებრივი ფორმა



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

შეკითხვაზე საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის დაწყებიდან დღემდე, უმჯობესდება თუ არა ბიზნესგარემო საქართველოში: გამოკითხულთა 45,8% დადებითი კუთხით უყურებს და თვლის რომ უმჯობესდება. 34.7% აფასებს რომ ნაწილობრივ გაუმჯობესდა ხოლო მეორე ნაწილი კი ფიქრობს არ გაუმჯობესებულა და შეინიშნება ბიზნეს სექტორის განვითარების შეფერხება.

დიაგრამა №30



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე თუ რამდენად წარმატებულად თვლის საფინანსო ინსტიტუტების მიერ, ინფრასტრუქტურაში განხორციელებულ პროექტებს არის აზრთა სხვადასხვაობა თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი დიდი ნაწილი 33,3% თვლის,

წარმათებულათ, ხოლო ნაწილობრივ წარმატებულია თვლის 61.1%. წარუმატებლად მიიჩნევს მხოლოდ 4,2%, ხოლო 1.4% მიიჩნევს რომ მეტად ეფექტურ რეალიზაციას საჭიროებს

დიაგრამა №31



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დადებითად შევაფასოთ ინფრასტრუქტურული პროექტებზე გამოკითხულთა აზრი.

ჩვენ ასევე გვაინტერესებდა თუ რას ფიქრობდენ და როგორ შეაფასებდენ ენერგეტიკის სფეროსში განხორციელებულ პროექტებზე და შეკითხვაზე თუ რამდენად ეფექტურად აფასებდნენ საფინანსო ინსტიტუტების მიერ, ენერგეტიკის სფეროში განხორციელებულ პროექტებს მივიღეთ შემდეგი შედეგი:

დიაგრამა №32



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

62.5 % გამოკითხულთა უმრავლესობა საშუალოდ ეფექტურად მიიჩნევს და ეფექტურად 29,2%. მხოლოდ 8.3 % მიიჩნევს რომ განხორციელებული პროექტები არააეფექტური.

შეკითხვაზე თუ რომელ სექტორს მიიჩნევთ პრიორიტეტულად რეგიონის განვითარებისათვის უპირატეს მიმართულებად:

დიაგრამა №33



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

გამოკითხულთა 50% უპირატეს მიმართულებათ მიიჩნევს სოფლის მეურნეობას და თვლის რომ უფრო მეტად უნდა მიემართოს პროექტები სოფლის მეურნეობაში. დიაგრამაზე მოცემული მონაცემებით მეორე ადგილს იკავებს პრიორიტეტულ მიმართულებათ ფინანსურ სექტორს რაც წარმოდგენილია გამოკითხულთა 34,7%ით. 11,1 პროცენტი უჭირავს ენერგეტიკის.

ჩვენთვის ასევე უმნიშვნელოვანესი იყო გაგვეგო გამოკითხულთა აზრი თუ რომელ ბიზნეს სექტორს მიიჩნევდნენ რეგიონის განვითარებისათვის აუცილებელ მიმართულებათ:

დიაგრამა №34



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

დიაგრამიდან ნათლად ჩანს რომ არც თუ დიდი სხვაობაა ტურიზმის სექტორს (58,3%) და სოფლის მეურნეობაა (65.3%) შორის გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი თვლის რომ ეს სექტორებია რეგიონის გნვითარებისათვის აუცილებელი.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პროექტები უმრავლესობის აზრით შეიძლება ჩავთვალოთ წარმატებულად და ეფექტურა. ასევე შეგვიძლია გამოკითხულთა აზრი შევაჯეროთ და დასკვნით ნაწილში გამოვყოთ პრიორიტეტული მიმართულებები.

დასკვნები და რეკომენდაციები:

კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი შედეგები და რეკომენდაციები მნიშვნელოვნად სრულყოფს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის სფეროს პოლიტიკასა და სტრატეგიას, შედეგზე ორიენტირებულს გახდის და აამაღლებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხს. კვლევა და მისი შედეგები

მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის ადმინისტრირებისთვის, ასევე სამთავრობო, არასამთავრობო სექტორისა და ფართო საზოგადოებისთვის.

უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას მნიშვნელოვან წინაპირობას წაროადგენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. კერძოთ თუ როგორ არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ქვეყანაში, ამასთან კვალიფიციური ადამიანური რესურსი, სამართლებრივად როგორ არის მოწესრიგებული ინვესტორებთან ურთიერთობა, ამ და სხვა მრავალი პირობის გათვალისწინებით რომელსაც ყურადღება ექცევა ინვესტიციის შემოდინებისას სახელმწიფო დაწესებულებები მაქსიმალურად უნდა იყვნენ მზად შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად რათა არ აღმოჩნდეს შემაფერხებელი არამედ არსებული გარემო მასტიმულირებელი უნდა იყოს ინვესტორებისათვის.

ამისათვის საჭიროა როგორც ინფრასტრუქტურის ასევე საგზაო სატრანსპორტო გზების, ენერგეტიკის სფეროს ტექნოლოგიური სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც პირდაპირ ქმნის ქვეყნის მიმზიდველობას ბიზნესის კეტებისთვის.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აღნიშნეს, ევროპის რეკონსტრუქციისაა დაგანვიტარების ბანკის პროგნოზის გაუმჯობესებას საქართველოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას უკავშირებს, რაც ექსპორტისა და ტურიზმის მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზების გაუმჯობესება საქართველოს ეკონომიკაში არსებულ გარკვეულ მიღწევებს ეფუძნება „საერთაშორისო ორგანიზაციები ერთმანეთის მიყოლებით აუმჯობესებენ საქართველოს ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელს, როგორც ამ წლისთვის, ასე მომავალი წლისთვის და პერსპექტივებსაც უკეთესს ხატავენ, რაც უსაფუძვლო ნამდვილად არ არის, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკაში ამავდროულად ბევრი სხვაც ხდება", როგორც აღნიშნა ვახტანგ ჭარაიამ.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიური ტენდენციები უკვე აისახა ქვეყნის სუვერენული რეიტინგის გაუმჯობესებაზეც — მიმდინარე წლის სექტემბერში

სარეიტინგო კომპანია Moody"s-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე", — ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ადრე EBRD-ს პრეზიდენტმა სუმა ჩაკრაბარტიმ საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის კარგ მუშაობაზე გაამახვილა ყურადღება, რაც კარგი ეკონომიკური მენეჯმენტითაა განპირობებული და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო მიმდინარე და მომავალ წლებში გადააჭარბებს ეკონომიკური ზრდის პროგნოზებს.

უარყოფითი ეფექტი რაც შეძლება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას ქონდეს ისაა რომ დაფინანსებული პროექტები ქვეყანას უფინანასდება როგორც კრედიტი, რომელიც ქვეყნისთვის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს. ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აფინანსებენ პროექტებს რომელებიც მათ ინტერესებშია და მათთვი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს რეგიონში.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუბეზე წარმოდგენის შესაქმნელად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჰერმან დეილის, მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტის სტატია

დღესდღეობით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ემსახურებიან არა თავიანთ წევრ ქვეყნებს, არამედ „გლობალურ ეკონომიკად“ წოდებულ იდეოლოგიურ აბსტრაქციას. რა დგას ამ აბსტრაქციის უკან? ვინ ღებულობს სარგებელს ტრანსნაციონალური კაპიტალი და არა მუშახელი, მცირე ბიზნესი, ადგილობრივი ფერმერები, გარემო და სხვა. ყოველივე ეს საბაზრო პრინციპების უხეში დარღვევაა, რაც წარმოქმნის დოგმას, რომ განვითარება უნდა მოხდეს ექსპორტის, იაფი მუშა ხელის, საერთაშორისო ვალებისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის ხარჯზე. იგივე დოგმა უშვებს გარემოს დაცვითი ღირებულებების ექსტერნალიზაციას რადგან მოსალოდნელი სწრაფი ეკონომიკური ზრდა იგივე დოგმა უშვებს გარემოს დაცვითი ღირებულებების ექსტერნალიზაციას, რადგან მოსალოდნელი სწრაფი ეკონომიკური ზრდა საშუალებას მოგვცემს გავიღოთ დაბინძურებული გარემოს “გასაწმენდად” საჭირო თანხები. გასაოცარია, რომ ე.წ. გლობალური კაპიტალიზმი ეფუძნება გლობალური ბუნებრივი კაპიტალის განადგურებას (ხე-ტყის ჭრა, მეთევზეობა, წიაღისეულის მოპოვება,

ჭაბურღილების გათხრა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება), ხოლო შედგომში მისი აღდგენა შესაძლებელი იქნება განვითარებული ეკონომიკით”.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. გვარუციძე, მ. ვანიშვილი - კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ზოგადი ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში. თბილის 2010 წ.

2. აზიის განვითარების ბანკის დოკუმენტი - „აზიის განვითარების ბანკი და საქართველო“ 2019 წელი
3. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი „სტრატეგია საქართველოსთვის“, დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს მიერ 2017 წელს
4. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი, პროექტი „სტრატეგია საქართველოსთვის“, 2013 წლის ვერსია
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი“ 2019 წლის 31 მაისი.
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკა, (2019,2018,2017,2016,2015,2014 წლების)
8. პაპავა, ვ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბილისი, 2000
9. ხიდაშელი მ, საერთაშორისო ფინანსების ზოგადი თეორია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2017
10. გ. აბაშიშვილი - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოწვევები განვითა-რებადი ქვეყნების მთავრობებთან და ბიზნესთან მიმართებაში. თბილისი 2013 წ.
11. ი. არჩვაძე - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ქართულ ლარსა და საბჭოთა მანეთს შორის. თბილისი 2010 წ.
12. ი. მესხია -საერთაშორისო ფინანსები. თბილისი 2010 წ.
13. ი. კოვზანაძე, გ კონტრიძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი 2014 წ.
14. მ. ვანიშვილი, მ. ნოზაძე, ლ გოცირიძე - ფინანსების თეორია. თბილისი 2010 წ.
15. მ. ვანიშვილი, დ. ფარულავა - ფინანსების საფუძვლები. თბილისი 2007 წ.
16. მ. ხიდაშელი - თანამედროვე მონეტარული სისტემის კრიტიკული ასპექტები - თბილისი 2016 წ.

17. მ. ხიდაშელი - თავისუფალი მონეტარული სისტემის საკითხის გააზრებისათვის - ბათუმი 2016 წ.
18. ნ. ჩიხლაძე, მ. ხიდაშელი - ბიზნესის ციკლის ბუნების საკითხის გააზრებისათვის – ორენბურგი 2015 г
19. რ. კაკულია, ლ. ბახტაძე - საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. თბილისი. 2007წ.
20. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი „სტრატეგია საქართველოსთვის“, დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს მიერ 2010 წლის 9 თებერვალს.
21. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი, პროექტი „სტრატეგია საქართველოსთვის“, 2017 წლის ვერსია;
22. ლუისი, მ, ბუმერანგი, მოგზაურობა ახალ მესამე სამყაროში, თბილისი,
23. საქართველოში აშშ-სსაელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამა, 2013წ.
24. ლევინი მ. ჰენრი, მაკევანი პატრიკ ჯ. „დანახარები-ეფექტიანობის ანალიზი: მეთოდები და გამოყენება“. ,,დიოგენე“ 2011
25. პაპავა, ვ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბილისი, 2000
26. სტიგლიცი, ჯ, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბილისი, ,,რადამი“,2012
27. European Bank For Reconstruction and Development - activity in Georgia: All projects, 2014-19.
28. Asian Development Bank – Asian Development Bank and Armenia: Fact Sheet april 2019
29. Asian Development Bank – Azerbaijan: Country partnership strategi (2019-2023)
30. European Bank For Reconstruction and Development - activity in Armenia: All projects, 2014-19.
31. European Bank For Reconstruction and Development - activity in Azerbaijan: All

projects, 2014-19.

32. Word Bank - Georgia Country partnership framework for the period FY19-Fy22

33. Word Bank in georgia, All projects

34. Word Bank in Azerbaijan, All projects

35. Word Bank in Azerbaijan, All projects

36. Word Bank in georgia, 25 Years of Partnership

37. INTERNATIONAL BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT AND THE INTERNATIONAL DEVELOPMENT ASSOCIATION AND INTERNATIONAL FINANCE CORPORATION COUNTRY PARTNERSHIP STRATEGY FOR AZERBAIJAN

38. INTERNATIONAL BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT INTERNATIONAL DEVELOPMENT ASSOCIATION INTERNATIONAL FINANCE CORPORATION COUNTRY PARTNERSHIP STRATEGY FOR THE REPUBLIC OF ARMENIA